პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი № 287 (10681) | ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ვაჭრობა მშრომელთა მომსახურების დიდმნიშვნელოვანი უბანია. — „პრავდის“ 11-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის დეპეშა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ურხო კეკონენისადმი (1-ლი გვერდი).

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კეკონენის დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბატონ კ. ე. ვოროშილოვისადმი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის დეპეშა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბატონ კ. ა. ფაგერჰოლმისადმი (1-ლი გვერდი).

ფინეთის პრემიერ-მინისტრის კ. ა. ფაგერჰოლმის დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ნ. ა. ბულგანინისადმი. (1-ლი გვერდი).

რესპუბლიკაში წლის ბოლომდე გავასუქოთ 60.000 ღორი (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრები ზერელე საანგარიშო მოხსენება **ი. გობეჩია, აკ. ჩავლეიშვილი.** ცხოვრების გზით (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სა. განცხადება (მე-2 გვერდი).

ვ. მებუკე, ი. თედორეშვილი. — ეროვნული საკ. მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ (მე-2 გვერდი).

გ. მაზურინი. — [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ვაჭრობა მშრომელთა მომსახურების დიდმნიშვნელოვანი უბანია

საბჭოთა ვაჭრობის ფართოდ გაჩაღება იმ პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა მეექვსე ხუთწლედში საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა მრავალრიცხოვან რაზმს მინდობილი აქვს საპატიო და კეთილშობილური საქმე — დაუცხრომლად იზრუნონ საქონელბრუნვის განვითარებისათვის, მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, დღითიდღე აუმჯობესონ მშრომელთა მომსახურება.

სავაჭრო ქსელში ცოტა როდია ისეთი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს ამ პასუხსაგებ ამოცანას, ნამდვილად ზრუნავენ მოსახმარებლისათვის. მაგალითად, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სვერდლოვსკის უნივერმაღის, ქალაქ ლენინგრადის ვასილეოსტროვსკის რაიკვინდავაჭრობის № 17 თვითმმსახურების მაღაზიის, დნეპრის ალუმინის ქარხანასთან არსებული სასურსათო მომარაგების № 1 სასადილოს კოლექტივები და ბევრი სხვა. სამომხმარებლო კოოპერაციაში მოწინავე ორგანიზაციები იჩენენ ინიციატივას, ეძებენ ადგილობრივ შესაძლებლობებს მეპაიეთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის. ყარა-კალფაკეთის ასსრ ხოჯეილის რაიონულმა სამომხმარებლო საზოგადოებამ, კერძოდ, შექმნა დამხმარე მეურნეობა, რომელშიც სუქდება 600-ზე მეტი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონელი, მოაწყო თევზჭერა ადგილობრივ წყალსატევებში. ხმელნიცის ოლქის ჟოროდოკის რაისამომხმარებლო კავშირი და რაიონის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოება ადგილობრივი რესურსებით ამზადებენ ძეხვეულს, უალკოჰოლო სასმელებს, გასასუქებლად დააყენეს 130 ღორი.

ასეთი მაგალითი ცოტა როდია. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა არ შეგვემჩნია ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ბევრი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაობაშია. ვაჭრობის მუშაკთა მრავალრიცხოვან მასაში, რომელთა უმრავლესობა პატიოსნად ეკიდება საქმეს, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან მინდობილ საქმეს, ხოლო ცალკეულნი მათ შორის ვაჭრობაში მუშაობას იყენებენ ანგარებითი მიზნებისათვის, ისწრაფვიან გამდიდრდნენ სახელმწიფოსა და მყიდველების ხარჯზე. „პრავდის“ მკითხველები თავიანთ წერილებში იუწყებიან საქონლისა და ფულადი სახსრების დატაცების, ფასების გადიდების, წონაში, ანგარიშში მოტყუებისა და მყიდველთა სხვა მოტყუების ფაქტებს.

ჩვენში ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის ისეთი ბოროტება, როგორიც არის სპეკულაცია ცალკეული საქონლით, რომელზეც გადიდებული მოთხოვნილებაა. სპეკულანტთა თანამონაწილენი ხშირად ხდებიან დახლის ცალკეული უპატიოსნო და მორალურად მერყეული მუშაკები. ქალაქ სარატოვში ამ ცოტა ხნის წინათ მხილებულ იქნა სპეკულანტთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებული იყვნენ მრეწვავაჭრობის № № 60 და 64 მაღაზიების მუშაკებთან. მყიდველებს ხშირად არ შეეძლოთ ამ მაღაზიებში შეეძინათ პალტო, კოსტიუმი და სხვა ნივთები, დახლის მუშაკები ამ ნივთებს მალავდნენ და სპეკულანტებს აძლევდნენ. ასეთი ფაქტები სხვა ქალაქებშიც არის. ზოგან სპეკულანტური ელემენტები მიეტმასნენ საკომისიო ვაჭრობას, რომელსაც სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებს. სარგებლობენ რა კონტროლის სისუსტით, ისინი გადიდებულ ფასად ყიდიან კოლმეურნეობათაგან საკომისიოდ მიღებულ პროდუქტებს.

რაგომ ხდება შესაძლებელი ეს უარყოფითი მოვლენები ვაჭრობაში?

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მატერიალურ ფასეულობებს ზოგჯერ ანდობენ არაკეთილსინდისიერ პირებს, რომ ვაჭრობაში ხშირად იღებენ ადამიანებს, რომლებიც საკმაოდ არ არიან შემოწმებულნი. ასეთი მანკიერი პრაქტიკაა, მაგალითად, ულიანოვსკის ოლქის კოოპერაციულ ორგანიზაციებში (სოლქო სამომხმარებლო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ელოვიკოვი). შედეგად სავაჭრო ქსელში შეაღწევენ ხოლმე ისეთი ადამიანები, რომლებიც წინათ მსჯავრდებულნი იყვნენ ბოროტმოქმედებისათვის. ოლქის კოოპერაციაში ცუდად არის მოწყობილი საუწყებო კონტროლი. რევიზიების გეგმა თვიდან თვემდე არ სრულდება, რევიზიას ზერელედ აწყობენ.

კიდევ არიან სავაჭრო ორგანიზაციების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც ჩავარდნილი მუშაკები ერთი საწარმოდან მეორეში გადაყავთ, ლიბერალურად ეპყრობიან საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევებს. როგორც პარტიის სტალინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდნენ, ასეთ უპრინციპობას კადრების შერჩევასა და განაწილებაში იჩენს ვაჭრობის საქალაქო სამმართველოს უფროსი ამხ. კოლჩინი. შემთხვევითი როდია, რომ ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებია. იშვიათი ლმობიერებით ეპყრობა ბოროტმოქმედების ჩამდენთ ყირგიზეთის სსრ ვაჭრობის სამინისტრო (მინისტრი ამხ. ჩიკეევი). აშკარა გაიძვერებსაც კი, რომლებიც არაერთგზის ყოფილან მხილებულნი მოტყუებაში, იგი სავაჭრო ორგანიზაციებში ტოვებს. სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის მუშაკებმა, საზოგადოებრივმა კონტროლიორებმა რამდენჯერმე მოახდინეს ქალაქ ფრუნზეს ცენტრალური უნივერმაღის შემოწმება. ისინი ყოველთვის ააშკარავებდნენ ვაჭრობის წესების უაღრესად უხეში დარღვევის ფაქტებს და აცნობებდნენ ვაჭრობის სამინისტროს. მაგრამ ბოროტმოქმედების ჩამდენთ სამინისტრო ადგილებზე ტოვებდა.

ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება მშრომელთა მომსახურების უმნიშვნელოვანესი უბანია. მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობასთან ყოველდღე საქმე აქვს მილიონობით ადამიანს. ამიტომ დიდმნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად იყონ დაინტერესებულნი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობით, იღებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ბევრი პარტიული კომიტეტი და პირველადი ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს ვაჭრობის საკითხებზე. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოარკვია, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო ღრმად არ სწვდება სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო საქმიანობას, ცუდად ახორციელებს კონტროლს კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი. სავაჭრო საწარმოების ბევრი პირველადი პარტორგანიზაცია არ იყენებს მისთვის მინიჭებულ კონტროლის უფლებას ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, დაგვიანებით უპასუხებს მშრომელთა სიგნალებს მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობაში უწესრიგობის შესახებ. მთელ რიგ შემთხვევებში სუსტად იბრძვიან ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ მილიციისა და პროკურატურის ორგანოები.

კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესება მშრომელთა სანიმუშო მომსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაძლიეროთ ამისათვის თვით სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და ყველგან დავუხშოთ ვაჭრობის კარი ყველა იმას, ვინც აქ ანგარებითი მიზნებით მოდის.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მტკიცედ იბრძოლონ ვაჭრობის კადრების შერჩევისას პარტიული პრინციპების განუხრელად დაცვისათვის, სისტემატურად აწარმოონ აღმზრდელობითი მუშაობა მაღაზიების გამგეებთან, გამყიდველებთან და საზოგადოებრივი კვების მუშაკებთან. უნდა გაძლიერდეს ფართო საზოგადოებრიობის კონტროლი მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი. ასეთ საზოგადოებრივ კონტროლს ჩვენში ახორციელებენ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიები, პროფკავშირული ორგანიზაციები, სამომხმარებლო კოოპერაციის სადუქნო და სასადილოს კომისიები. ათეულათასობით მშრომელი ქალაქებსა და სოფლებში აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ კონტროლში, თვალყურს ადევნებს ვაჭრობის წესების დაცვას, ხელს უწყობს მოსახლეობის მომსახურებაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო და პროფკავშირული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ აფასებს ამ დიდ და მნიშვნელოვან მუშაობას. ყაზახეთის ჯამბულისა და ზოგიერთ სხვა ოლქში სუსტად მუშაობენ საბჭოების მუდმივი სავაჭრო კომისიები, თუმცა მათს შემადგენლობაში ბევრი დეპუტატი ითვლება. ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული, კოოპერაციული ორგანიზაციების მოვალეობაა ყველგან გააქტიურონ საზოგადოებრივი კონტროლი ვაჭრობისადმი, ამ საქმეში ფართოდ მოიზიდონ მუშები, მოსამახურეები, კოლმეურნეები, დიასახლისები.

ცნობილია, თუ რა დიდ ეფექტს იძლევა ვაჭრობის ორგანიზაციის ახალი მეთოდები, კერძოდ უგამყიდველო მაღაზიები. აქ მთელი საქონელი იყიდება დაფასოვებული სახით, ბევრი საქონელი — ფაბრიკაშივე შეფუთული. მაგრამ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკათა სამინისტროები მეტად ნელა აფართოებენ უგამყიდველო მაღაზიების ქსელს. 2.700 მაღაზიიდან, რომლებიც წელს უნდა გახსნილიყო, გაიხსნა მხოლოდ მესამედზე ცოტა მეტი. მთელ რიგ ქალაქებში არც ერთი ასეთი მაღაზია არ გახსნილა.

არაფრით არ შეიძლება გამართლდეს ისიც, რომ სავაჭრო ქსელში არ ინერგება სხვადასხვა ხელსაწყოება საქონლის გასაცემად. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, რომელსაც სავაჭრო მანქანათმშენებლობის მძლავრი ქარხნები აქვს, დღემდე არ მოუწყვია დოზატორების გამოშვება რძის, მცენარეული ზეთისა და სხვა სითხეების გასაყიდად. ნელა მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა სავაჭრო ავტომატების კონსტრუირებისა და გამოშვების ათვისებისათვის, რომელთა დანერგვა ჩაწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მშრომელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას. გაზეთებმა უნდა უჩვენონ მაღაზიებისა და სასადილოების, საზოგადოებრივი კონტროლის მუშაობის მოწინავე გამოცდილება, მწვავედ გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი. ყოველმხრივ მოსაწონია მაღაზიებში, სასადილოებში, ბაზებში მუშაკორების რეიდები, რომლებსაც ზოგიერთი გაზეთი აწყობს.

ყველა საბჭოთა ადამიანი უაღრესად დაინტერესებულია საბჭოთა ვაჭრობის განვითარებითა და გაუმჯობესებით. მათს აქტივობასა და თვითმოქმედებაზე დაყრდნობით პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ვაჭრობის მუშაკებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ გადაჭრით გაუმჯობესონ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება.

„პრავდის“ 11/XII მოწინავე.

ქართულ ენაზე გამოიცა შრომა „სსრ კავშირის მრეწველობის ეკონომიკა“

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა შრომა „სსრ კავშირის მრეწველობის ეკონომიკა“. წიგნი განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სახელმძღვანელოდ.

(საქდესი).

მის აღმატებულებას
გატონ URხო კეკონენს
ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს
ჰელსინკი

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და თქვენი სახით მეგობარ ფინელ ხალხს გულითადად მოგილოცოთ ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 39-ე წლისთავი.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ფინელ ხალხს გულწრფელად ვუსურვო აყვავება, აგრეთვე წარმატებანი და ბედნიერება პირადად თქვენ.

კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მოსკოვი, 1956 წლის 5 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
გატონ კ. ე. ვოროშილოვს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს
მოსკოვი

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარე, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 39-ე წლისთავთან დაკავშირებით თქვენი მეგობრული მოლოცვისა და სურვილების გამო.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა უგულითადესად გისურვოთ ჯანმრთელობა და წარმატება პირადად თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, და აყვავება მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხებს.

URხო კეკონენი

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ჰელსინკი, 1956 წლის 10 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
გატონ კ. ა. ფაგერჰოლმს
ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს
ჰელსინკი

ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 39-ე წლისთავის გამო გთხოვთ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, მიიღოთ საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი მოლოცვა.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა საუკეთესო სურვილები თქვენდამი, აგრეთვე მეზობელი მეგობარი ფინეთის მთავრობისა და ხალხისადმი.

ნ. ბულგანინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, 1956 წლის 5 დეკემბერი.

მის აღმატებულებას
გატონ ნ. ა. ბულგანინს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს
მოსკოვი

ფინეთის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გმადლობთ, ბატონო თავმჯდომარე, თქვენი მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 39-ე წლისთავის გამო.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარე, და თქვენი სახით სსრ კავშირის მთავრობას მიიღოთ ფინეთის მთავრობისა და პირადად ჩემი მეგობრული სურვილები.

კ. ა. ფაგერჰოლმი

ფინეთის პრემიერ-მინისტრი

ჰელსინკი, 1956 წლის 10 დეკემბერი.

ორი საჭრისით — სარანდავ ჩარხზე



გორკში იყო ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის „ელექტროსილას“ ნოვატორი ოსტატი ი. ი. დანილოვი. ქალაქის მთელ რიგ საწარმოებში მან მუშებს გააცნო სარანდავ ჩარხზე ორი საჭრისით მუშაობის თავისი გამოცდილება. ასე მუშაობა შრომის ნაყოფიერების ერთბორად გადიდების საშუალებას იძლევა.

როდესაც დაიწყო ფართო მოძრაობა ერთსა და იმავე საწარმოო ფართობზე პროდუქციის მიღების გადიდებისათვის, ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილაში“ შექმნეს ეგრეთწოდებული ორსაჭრისიანი ხელსაწყო, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ რანდვა ხდებოდეს ჩარხის არა მარტო სამუშაო, არამედ აგრეთვე უქმი სვლის მიმართულებით. უქმი სვლაც სამუშაო სვლად გადაიქცა.

სურათზე: ოსტატი ი. ი. დანილოვი (მარჯვნიდან მეორე) ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მრანდავებს უჩვენებს როგორ მუშაობს ჩარხი, რომელიც აღჭურვილია ორსაჭრისიანი თავით.

ფოტო პ. ვოზნესენსკისა. (საკ.).

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისათვის

ხარკოვი, 10 დეკემბერი. (საკ.). ქალაქის ქარხნების კოლექტივები წარმატებით ასრულებენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დაკვეთებს.

ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხანამ ამ დღეებში უნგრეთს გაუგზავნა 25 სათოხნი დიზელიანი ტრაქტორი „დტ-14“.

ქარხანამ „სვეტ შახტიორა“ უნგრელი მეშახტეებისათვის გრაფიკზე ადრე გააკეთა ერთი პარტია ქანსატვირთავი მანქანები. ისინი განკუთვნილია ქვანახშირისა და ქანის დასატვირთავად შახტებში გამოსაყენებელი შტრეკების, კვერშლაგებისა და ჭაურის მომიჯნავე გვირაბების გაყვანის დროს. თვითეული ასეთი მანქანა, რომელსაც ერთი მუშა მართავს, საათში 20 კუბურ მეტრს ტვირთავს. იგი შეკუმშული ჰაერით მუშაობს.

დავალებით გათვალისწინებულზე ორი თვით ადრე გაუგზავნა უნგრელ მეგობრებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკისრები საკისრის ქარხნის კოლექტივმა.

ნაყოფიერად შრომობენ აგრეთვე ელექტრომექანიკური ქარხნის მუშები, რომლებიც უნგრეთისათვის უშვებენ აფეთქების მხრივ უსაშიშრო საშახტო ელექტროძრავებს, ელექტრომანქანების მართვის სადგურებს. საამწეოსატრანსპორტო მოწყობილობას ამზადებს ლენინის სახელობის ქარხანა.

მეგობრობის გზის მშენებლობაზე

ალ'მა-ატა, 11 დეკემბერი. (საკ.). სულ უფრო შორს მიდიან ველში აქტოგაი — სახელმწიფო საზღვრის ახალი რკინიგზის ხაზის მშენებლები, რომელიც სსრ კავშირს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაუკავშირებს. დამთავრდა ახალი მაგისტრალის მთავარი ლიანდაგის მიწის ვაკისის მეორმოცე კილომეტრის დაყრა. ნიჟნი ტაგილიდან და კუზნეცკიდან მიღებულია პირველი 50 კილომეტრი მძიმე რელსები, რომლებიც გათვალისწინებულია სათბომავლო წვეთისათვის. აქტოგაის ბაზაში დაიწყო რელსების აწყობა. მშენებლებს განზრახული აქვთ ახალი წლისათვის დააგონ პირველი 15 კილომეტრი მთავარი ლიანდაგი.

ამჟამად მეგობრობის გზის მშენებლობაზე მუშაობს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მინსკიდან, კიევიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ორი ათასზე მეტი პატრიოტი.

რესპუბლიკაში წლის ბოლომდე გავასუქოთ 60.000 ღორი

მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით

მარნეული. (სპეც. კორ.). საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციასთან ერთად ამ სამი თვის წინათ კრასნოდარის მხარეში იყო მარნეულის რაიონის სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის გამგე ამხ. ა. ბეჟანოვი.

დელეგაციასთან ერთად ამხ. ბეჟანოვი გულმოდგინედ გაეცნო ღორების მოვლა-შენახვისა და გასუქების მეთოდებს. კოლმეურნეობაში დაბრუნების შემდეგ აქ ფართოდ დანერგეს კრასნოდარელ მეღორეთა გამოცდილება. ამან დიდად შეუწყო ხელი ღორის ხორცის წარმოების გადიდებას და გაიაფებას.

კოლმეურნეობაში ამ სამი თვის განმავლობაში მოეწყო ავტოსაკვებურები, სადაც ორ დღეში ერთხელ ყრიან მშრალ კომბინირებულ საკვებს. ავტოსაკვებურებიდან ღორები იღებენ იმდენ საკვებს, რამდენიც მათ უნდათ.

კოლმეურნეობაში მოეწყო აგრეთვე ღორების ავტომატური სარწყულები, რომლებითაც ღორები სურვილისამებრ სვამენ წყალს. მოაწყეს აგრეთვე „ელექტრომწყემსი“. ყოველივე ამან შეამცირა შრომითი დანახარჯები. თუ წინათ კოლმეურნეობაში 800 სულ ღორს 10-ზე მეტი მომვლელი ჰყავდა, ახლა ამდენივე ღორს მხოლოდ ერთი კაცი უვლის.

კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში ამჟამად 800 სული ღორია, მათ შორის 78 დედაღორი. თვითეულ დედაღორზე გეგმით წლის ბოლომდე უნდა მიიღონ 12 გოჭი, ფაქტიურად ორი თვით ადრე მიიღეს და შეინარჩუნეს 15 გოჭი.

მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა წელს 400 ღორს ასუქებს. უკვე გასუქა 94 ღორი და სახელმწიფოს ჩაბარა 54 ცენტნერი ხორცი.

— კრასნოდარელ მეცხოველეთა ძვირფასი გამოცდილების გამოყენებით, — განაცხადა საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. იბრაგიმოვმა, — კოლმეურნეობაში მეღორეობა უფრო რენტაბელური და მომგებიანი გახდა. ჩაბმული ვართ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვკისრულობთ მომდინარე წლის ბოლომდე დამატებით გავასუქოთ 306 ღორი, სახელმწიფოს ჩავაბაროთ სულ მცირე 250 ცენტნერი ხორცი.

რაიონს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უნდა გაესუქებინა 1.000 ღორი. ეს დავალება უკვე შესრულებულია. წლის ბოლომდე კიდევ გასუქებენ 3.475 ღორს.

მარნეულელ კოლმეურნეთა თაოსნობა ღორების გასუქებაში ყოველმხრივ მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია.



ავტოსაკვებურით ღორების კვება ნეობის მეღორეობის ფერმაში. ხოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურ- ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეღორეობისადმი შეუფასებლობას იჩენენ

ამ უკანასკნელ წლებში ლანჩხუთის რაიონის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელებმა — ქვემო აკეთის ხრუშჩოვის სახელობის, ზემო აკეთის კაგანოვიჩის სახელობის, ჩოლაბარგის კეცხოველის სახელობის და მამათის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს ღორის სულადობის ზრდის დავალება, მნიშვნელოვნად გაადიდეს ღორის ხორცის წარმოება.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მეღორეობის განვითარების სახელმწიფო დავალება ჩაშლილია. სოფელ ქვემო ჩიბათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ღორის სულადობის ზრდის გეგმა სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. 255 ღორის ნაცვლად ჰყავთ 109, საშუალოდ თვითეულ დედაღორზე მიიღეს მხოლოდ 2,7 გოჭი. მთელი წლის მანძილზე სახელმწიფოსათვის ჩაბარებული აქვთ 14 ცენტნერი ღორის ხორცი, დავალება კი 26 ცენტნერს ითვალისწინებდა. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ქ. ჯორბენაძე), მეცხოველეობის ფერმის გამგე ნ. პატარაია, მეღორეობის ფერმის ბრიგადირი კ. კუკულაძე აშკარა უყურადღებობას იჩენენ მეღორეობის განვითარებისათვის. აქ ცუდი მოვლის გამო წელს 26 ღორი დაიხოცა. ამ ამბავმა ისე ჩაიარა, რომ მსჯელობის საგნად არც კი გაუხდიათ.

ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ვ. იმნაძე) ცუდად ხელმძღვანელობს მეღორეობის განვითარების საქმეს. ეს დარგი სამარცხვინოდ ჩამორჩება. 80 დედაღორიდან თვითეულზე მიიღეს 1,7 გოჭი. კოლმეურნეობას გეგმით უნდა ჰყავდეს 230 ღორი, ჰყავს 153. აქ დიდი ჩამორჩენაა ღორის ხორცის დამზადების საქმეში. ცუდად არის მოწყობილი ღორების კვება. წელს 66 ღორი მოკვდა.

სოფელ ნინოშვილის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ჩხაიძე) ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეცხოველეობაში გასული სამეურნეო წელი. 216 ღორის ნაცვლად ჰყავთ 74, 40 დედაღორის ნაცვლად კი — 26. თვითეულ დედაღორზე მიღებულია 2,1 გოჭი.

სოფელ ჭანჭათის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ს. ხუხუნაშვილი) სათანადოდ არ ზრუნავს ხორცის დამზადების გეგმის შესასრულებლად.

ლანჩხუთელებს მეღორეობის განვითარების ყველა შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ რატომღაც ცუდად იყენებენ ადგილობრივ რეზერვებს. რაიონში თვითეულ დედაღორზე საშუალოდ მიღებულია 3,9 გოჭი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10-ისა.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კონკრეტულად უნდა დაეხმარონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს მეღორეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები

ზერელე საანგარიშო მოხსენება

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, მისი განყოფილებების მოქნილ და ოპერატიულ მუშაობაზე, მაღაროებისადმი ხელმძღვანელების მიახლოებაზე ბევრად არის დამოკიდებული მარგანეცის მრეწველობის წარმატება. სწორედ ამიტომ ტრესტის პარტიული ორგანიზაციის წინაშე, რომელიც ოთხმოცზე მეტ კომუნისტს აერთიანებს, მეტად დიდი ამოცანები დგას. მაგრამ ამ დღეებში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე გამოირკვა, რომ პარტორგანიზაცია საჭიროებს უურადღებას არ აქცევს ამ ამოცანებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოხსენება პარტბიუროს მდივანმა კ. აბაანდაძემ გააკეთა. მისგან კომუნისტები ანალიზიან და კრიტიკულ მოხსენებას მოელოდნენ, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. მოხსენება, რომელსაც ამბ. აბაანდაძემ ნახევარი საათი მოანდომა, მშრალი, ზოგადი და უფერული იყო. მოხსენებაში მხოლოდ გაკვრით იყო ნათქვამი, რომ ტრესტის ტექნიკური, საწარმოო, მექანიკური და ენერგეტიკული განყოფილებები ნაკლებად ზრუნავენ წარმოებაში ახალი ტექნიკის დასანერგავად.

მომხსენებელს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ პარტბიურო სუსტად ახორციელებდა კონტროლს დადგენილებების შესრულებისადმი, სუსტად მუშაობდა პარტიაში ახალ წევრთა მიღების და ახალმიღებულების აღზრდის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში არც ერთი კაცი არ მიუღიათ პარტიაში. მომხსენებელმა ზერელედ ჩამოთვალა: საანგარიშო პერიოდში გაიმართა ამდენი და ამდენი კრება, განვიხილეთ ესა და ეს საკითხები, ამა და ამ კომუნისტს აქვს პარტიული დავალება, ამათ კი — არაო და სხვ.

როცა იდეოლოგიურ მუშაობას შეეხო, ამბ. აბაანდაძემ მოკლედ განაცხადა: პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შემსწავლელ სემინარში 44 კაცია გაერთიანებული, 14 კაცი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს, ხოლო ბევრი წარმოების ეკონომიკის შემსწავლელ ორწლიან სკოლაში მეცადინეობსო. მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, თუ როგორ წყვეტდა პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, როგორ იყენებდა აღმზრდელობითი ზემოქმედების ყველა საშუალებას.

კამათში გამოსულმა ინჟინერმა კ. ჯინჭველაშვილმა მომხსენებელს უსაყვედურა, რომ მან არაფერი თქვა კომუნისტების ავანგარდულ როლზე ახალი ტექნიკის დანერგვაში. წელს მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკაში ბევრი ახალი ტექნიკა უნდა დაენერგათ, მაგრამ ეს არ გაკეთდა. ჩამორჩენა ტექნიკური სწავლება, რომელსაც ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

ტრესტის მთავარმა ინჟინერმა დ. გელაშვილმა თქვა: — მარგანეცის მრეწველობა ბოლო ხანებში ჩამორჩა, თითქმის ვერც ერთი მაღარო ვერ ასრულებს დავალებას. ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით ტრესტის ცალკეულ განყოფილებებსაც. პარტიულ ორგანიზაციას და მის ბიუროს უნდა ემსჯელნათ ცალკეულ განყოფილებათა მუშაობაზე, დაესახათ ღონისძიებანი, მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. პარტიული ორგანიზაცია არ დაინტერესებულა აგრეთვე მეტალურგთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მუშაობით.

ტრესტის კომუნალური განყოფილების უფროსმა ა. კობახიძემ თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ ზამთარს მოუმზადებელი შეხვდნენ, ბინების რემონტი ჭიანურდება, ხოლო ჩატარებულ სამუშაოთა ხარისხი ცუდია. ბევრი შენობის სახურავი შესაკეთებელია, გაფუჭებულია ცენტრალური გათბობის ორთქლის ქვაბები და სხვ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე კომუნისტები ვ. ციცვიძე, ი. ქავთარაძე და ვ. ბახტურიძე, მაგრამ ტრესტისა და მისი განყოფილებების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე გაუბედავად ილაპარაკეს.

პარტიულმა კრებამ პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო. ხურული (ფარული) კენჭისყრით აირჩიეს პარტბიუროს ახალი შემადგენლობა და ჭიათურის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები. დასახულია ღონისძიებანი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის მეორე ბრიგადა, რომელსაც ლევან დათუკაშვილი ხელმძღვანელობს, ყოველთვიურ დავალებას ვალდებულებით ნაკისრი 180 პროცენტის ნაცვლად 225 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ბრიგადირი ლ. დათუკაშვილი (მარცხნივ), მუშები რ. გურგენიძე და ნ. კალნინი ავტობუსის შეკეთებაზე მუშაობენ.

ფოტო შ. გოჭაძისა.

★

ფოლადი 1957 წლის ანგარიშში

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მოწინავე მეფოლადეებმა ა. ფანცულაიამ და ა. ზარიძემ ფოლადის დნობისათვის გათვალისწინებული დროის მაქსიმალური შემჭიდროების შედეგად დეკემბრის პირველ დეკადაში წლიური საწარმოო გეგმა შეასრულეს და უკვე ათობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი მისცეს სამშობლოს 1957 წლის ანგარიშში.

სახელოვან მეფოლადეთა მიერ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში განხორციელებული ჩქაროსნული დნობები დნობათა საერთო რაოდენობის 75-80 პროცენტს აღწევს.

მოწინავე საწარმოები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ყოველდღიურად იზრდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც გაანაღდეს მიმდინარე წლის დავალება. 9 თვეში შეასრულა წლიური გეგმა ქალაქის სამრეწველო კომბინატის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც უკვე გამოუშვა დამატებით ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია.

შუშის ტარის ქარხნის კოლექტივმა ჩამორჩენა დაძლია და 24 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა.

დაწინაურებულ საწარმოთა შორის არის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, რომლის კოლექტივმა 1 დეკემბრისათვის გაანაღდა წლიური გეგმა.

წლიური გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში დაწინაურდნენ აგრეთვე „საქნავთბარიტის“ სამმართველოს, კირის ქარხნის, საგალანტერიო საწარმოს კოლექტივები.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა 1956 წლის 9 ოქტომბრის განცხადებაში იმასთან დაკავშირებით, რომ ოქტომბერში ფედალაში (მაროკო) მოწვეული იყო 9 ქვეყნის კონფერენცია ტანჟერში საერთაშორისო ადმინისტრაციის ლიკვიდაციისა და ტანჟერის ზონის საერთაშორისო რეჟიმის გაუქმების საკითხზე, მიესალმა მაროკოს მთავრობის ინიციატივას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ტანჟერი მაროკოს შეუერთდეს.

საბჭოთა მთავრობა, როგორც იმ ქვეყნის მთავრობა, რომელმაც ხელი მოაწერა ალხესირასის 1906 წლის აქტს, აგრეთვე როგორც 1945 წლის პარიზის კონფერენციის მონაწილე, ხელმძღვანელობს რა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის დიადი პრინციპებით და პატივს სცემს რა მაროკოელი ხალხის სამართლიან მისწრაფებას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისადმი, აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი სავსებით ცნობს მაროკოს სუვერენულ უფლებებს ტანჟერზე და ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად მიაჩნია ის ნაწილი საერთაშორისო შეთანხმებისა ტანჟერის რეჟიმის თაობაზე, რომელიც მას ეხება.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ტანჟერის საერთაშორისო რეჟიმის გაუქმება და ტანჟერზე მაროკოს სუვერენული უფლების აღდგენა ხელს შეუწყობს ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას თანასწორუფლებიანობის და სახელმწიფო სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის პრინციპის საფუძველზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა საუკეთესო წარმატებებს უსურვებს მაროკოელ ხალხს ეროვნული აღორძინებისა და მისი ქვეყნის აყვავების საქმეში.

ერთი საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ

შესრულების შემოწმება დაავიწყდათ

მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს შედგა სტალინირის საქალაქო საბჭოს მორიგი სესია, რომელზეც საქალაქო მეურნეობის ზამთრისათვის მზადების საკითხი განიხილეს. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებასა და სკოლაში, პურის კომბინატში სუსტად ემზადებიან ზამთრისათვის, გადაუდებელი რემონტი ესაჭიროება აგურისა და კრამიტის ქარხნების მუშათა საერთო საცხოვრებლებს, ყველა ორგანიზაცია მთელი პასუხისმგებლობით როდი ეკიდება სათბობით მომარაგების საქმეს და სხვ. სესიამ დასახა ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო. თოვლი სტალინირის ხშირი სტუმარი გახდა, ზამთარი თავის უფლებებში შევიდა და დღის წესრიგში დააყენა მიღებული გადაწყვეტილების განხორციელება. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კი ვერ შეძლო დაეწესებინა სისტემატური კონტროლი შესრულების შემოწმებაზე, სისრულეში მოეყვანა სესიის გადაწყვეტილება.

თოვლიან დღეებში სტალინირის ქუჩებში გავლა ჭირს, რადგან თოვლისა და ყინულისაგან ქუჩების გაწმენდაზე მაინცდამაინც თავს არავინ იწუნებს, თუმცა სესიის გადაწყვეტილებაში ამის შესახებ სპეციალური პუნქტიც კი ჩაწერეს. ასევე პირველი დეკემბრისათვის შეუსრულებელი იყო გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა კეხვის ელექტროსადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოების დამთავრებას 15 ნოემბრისათვის. აგურისა და კრამიტის ქარხნების მუშათა საერთო საცხოვრებლები კვლავ რემონტის მოლოდინშია, სტალინირის ქ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრისა და ვ. ი. ლენინის სახელობის კულტურის სახლის შენობების გათბობის საქმე მოუგვარებელია, სტალინირში ერთი აბანოა და ისიც შეფერხებით მუშაობს, თუმცა ამ საქმის მოსაგვარებლადაც ბევრი ქაღალდი და მელანი დაიხარჯა. სესიამ დაადგინა აგრეთვე, რომ გადაწყვეტილების შესრულების შედეგები განიხილათ აღმასკომის სხდომაზე, მაგრამ პირველი დეკემბრისათვის ამასაც ვერ მოაბეს თავი.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ აღმასკომის მუშაკებს დაავიწყდათ ერთი საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება: კარგი რეზოლუციები და გადაწყვეტილებები საქმის მხოლოდ დასაწყისია, რადგან ისინი ნიშნავენ მხოლოდ გამარჯვების სურვილს და არა თვით გამარჯვებას. მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაჭრა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, დადგენილების განსახორციელებლად მასების დარაზმვაზე. უამისოდ დადგენილებები და გადაწყვეტილებები უაზრო, ფარატინა ქაღალდად იქცევიან.

განა ასე უნდა მუშაობდნენ მუდმივი კომისიები?

მიმდინარე წელს სტალინირის საქალაქო საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ (თავმჯდომარე პ. ხარებოვი) სესიაზე ქალაქის ბიუჯეტის განხილვისათვის თანამოხსენება მოამზადა და ამით ამოწურა თავის მუშაობა. კომისიის სხდომა თერთმეტი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შედგა. სამუშაო გეგმაში, რომელიც მთელი წლისათვის შეადგინეს, ასახვა ვერ ჰპოვა საფინანსო მუშაობის მნიშვნელოვანმა საკითხებმა. უკითხესად როდი მუშაობს კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე ს. თომაევი). კომისიის წევრები იშვიათად იკრიბებიან ამა თუ იმ საკითხის განსახილველად. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ კომისია სისტემატურად არ სწავლობს ქალაქის კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მუშაობას, არ იგრძნობა კომისიის წევრთა პასუხისმგებლობა დავალების შესრულებისათვის. კომისიას თავის გარშემო შემოკრებილი არა ჰყავს აქტივი. ანალოგიური ნაკლოვანებები აქვს სახალხო განათლების მუდმივი კომისიის (თავმჯდომარე გ. კულუმბეკოვი) მუშაობასაც. მიუხედავად ასეთი ნაკლოვანებებისა, წელს სესიას ერთხელაც არ მოუსმენია საკითხი ამა თუ იმ მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ. საქალაქო საბჭოს აღმასკომი სუსტად ეხმარება მუდმივ კომისიებს, არ აწყობს მათთვის ლექცია-მოხსენებებს, არ იწვევს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და აღმასკომის განყოფილებათა გამგეების თათბირებს გამოცდილების გასაზიარებლად.

დეპუტატები ავანგარდში უნდა იდგნენ

დეპუტატის მოვალეობას წარმოადგენს ამომრჩევლებთან მჭიდრო კავშირის დამყარება. იგი სისტემატურად უნდა ხვდებოდეს ამომრჩევლებს, ანგარიშს აბარებდეს მათ საბჭოსა და თავისი მუშაობის შესახებ, ყურს უგდებდეს მათს რჩევასა და მოთხოვნებს, იბრძოდეს ამომრჩეველთა განწესის შესრულებისათვის. ვერ ვიტყვით, რომ სტალინირის საქალაქო საბჭოს დეპუტატები დ. თურმანოვი, მ. ძაგოევი, გ. კულუმბეკოვი ამ მოთხოვნათა სიმაღლეზე იდგნენ. ისინი 21 თვის განმავლობაში ერთხელაც არ შეხვედრიან ამომრჩევლებს, ანგარიში არ ჩაუბარებიათ მათთვის, არ ეწევიან ქმედითს მასობრივ-ორგანიზაციულ მუშაობას ამომრჩეველთა შორის. ყველა დეპუტატი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს სესიების მუშაობაში. წელს სესიებზე, რომელიც მხოლოდ 4-ჯერ შედგა, საკითხთა განხილვაში ოცმა დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. მეცხრე სესიაზე კი ათ მოკამათეს შორის ოთხი იყო დეპუტატი. აღსანიშნავია ისიც, რომ აღმასკომმა ვერ უზრუნველყო დეპუტატის ოთახის მოწყობა, რაც საგრძნობლად უშლის ხელს დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებას.

სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ და მისმა აღმასკომმა არსებული ნაკლოვანებებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ, იბრძოლონ მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, მთელი ძალები დარაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა პირნათლად შესრულებისათვის.

ვ. მეგუკე,
ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

შეძლებული ცხოვრების გზით

ერთი კოლმეურნეობის ეკონომიკა

გულს აბარებს ზღვის მახლობლად ზღვის ზვირთებივით მწვანედ აზიდული ჩაის ბუჩქები, უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციები, რომლებიც აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაის“ ეკუთვნის.

— თქვენ ატყობთ, — გვეუბნება კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჩემინავა, — ამ პლანტაციებს არ აკლია კოლმეურნეების მზრუნველი ხელი. სახელწოდება „საბჭოთა ჩაიც“ შემთხვევითი არ არის. ძირითადად ჩაი განსაზღვრავს ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკას.

ჩვენ ვნახეთ ჩაით გამდიდრებული კოლმეურნეები, გავეცანით სიუხვისა და შეძლებული ცხოვრების გზით მიმავალ მოწინავე კოლმეურნეობას და გვინდა მკითხველებს რამდენადმე გავაცნოთ მისი ეკონომიკა.

კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაი“ 113 კომლს აერთიანებს. მას სულ 997 ჰექტარი სავარგულები აქვს. აქედან ჩაის პლანტაციები გაშენებულია 158 ჰექტარზე, საიდანაც სრულმოსავლიანია 106 ჰექტარი. 91 ჰექტარი გამოყენებულია სახნავ-სათესად, კერძოდ 65 ჰექტარი — სიმინდისათვის, 2 ჰექტარი — თამბაქოსათვის, დანარჩენი — სასილოსე, პირუტყვის საკვები კულტურებისათვის.

კოლმეურნეობას 1955 წელს 3.597.000 მანეთი ფულადი შემოსავალი ჰქონდა. აქედან 3.441.964 მანეთი მას ჩაიმ მისცა. 1956 წლის პირველი ნოემბრისათვის ჩაით მიღებულმა შემოსავალმა 3.586.000 მანეთი შეადგინა. სულ მომდინარე წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 4 მილიონ მანეთამდე გადიდდება.

კოლმეურნეობის ეკონომიკის განუხრელი ზრდის შედეგად სულ უფრო იზრდება შრომადღის ღირებულება და მაღლდება მშრომელთა მატერიალური ცხოვრების დონე. თუ 1950 წელს თვითეულ შრომადღეზე გაცემულ იქნა 32 მანეთი, 1955 წელს განაწილდა 51 მანეთზე მეტი და 3 კილოგრამი სიმინდი, ხოლო მომდინარე წელს განაწილდება 52 მანეთზე მეტი და 2 კილოგრამი სიმინდი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცუდი ამინდების შედეგად კოლმეურნეობას 25 ჰექტარზე თითქმის მთლიანად გაუფუჭდა სიმინდის ნათესები.

უამინდობას უჩივიან ბარღებელი კოლმეურნეები. წელს არც გაზაფხული, არც შემოდგომა არ სწყალობდა სოფლის მეურნეობას. ბუნებას რომ ხელი შეეწყო, ჩაის, სიმინდის, თამბაქოს უმაგალითო მოსავალს მიიღებდნენ. ახლა კი 106 ჰექტარზე მოკრეფილია 351 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც საშუალოდ ჰექტარზე 3.315 კილოგრამს შეადგენს. რაიონის საშუალო მაჩვენებელთან შეფარდებით ეს საკმაოდ მაღალია, რადგან 5.478 ჰექტარი საკოლმეურნეო პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე რაიონში საშუალოდ მოკრეფილია 2.740 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს კოლმეურნეობა ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ვესაუბრეთ კოლმეურნეობის აგრონომს ამხ. მ. ალავიძეს. საუბარში კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღო პირველადი პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ი. კიკალიამ. გამოირკვა, რომ კოლმეურნეობაში მოწოდების დონეზე დგას შრომის დისციპლინა. კარგად არის მოწყობილი აღრიცხვა, მთავარი ყურადღება ექცევა პლანტაციების მოვლასა და აგროტექნიკურ ვადებში დამუშავებას.

წინათ პლანტაციებში საკმაო რაოდენობით არ შეჰქონდათ ფოსფორომანი სასუქი. ეს უარყოფით გავლენას ახდენდა ჩაის ბუჩქების ზრდა-განვითარებაზე. წელს სრულმოსავლიანი ჩაის ფართობების თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს 700-800 კილოგრამი ფოსფოროვანი სასუქი. საშემოდგომო და საზამთრო გადაბარვის დროს თვითეულ ჰექტარზე შეტანილ იქნა 350-400 კილოგრამი კალიუმის მარილი. აზოტოვანი სასუქი (გვარჯილა) ჰექტარზე 800 კილოგრამის რაოდენობით შეიტანეს 3 დოზად: პირველი ვეგეტაციის წინ 300 კილოგრამი, მეორე ვეგეტაციის დაწყებისას ივნისის შუა რიცხვებში 300 კილოგრამი და აგვისტოს შუა რიცხვებში 200 კილოგრამი. ზაფხულის პერიოდში კულტივაცია ჩატარეს ხუთჯერ. პლანტაციების 50 პროცენტს გაუკეთეს დამულჩვა.

ჩაის ფართობები მიმაგრებულია კოლმეურნეებზე, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში ყველა პირობას ქმნიან ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ა. ჭაავა) ნაყოფიერი მუშაობით 36 ჰექტარ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 120 ტონის ნაცვლად მიიღო 140 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ჰექტარზე 3.888 კილოგრამს შეადგენს. ამ ბრიგადის მერგოლურმა ბ. ტურავამ 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 4.286 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მეორე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ც. კიკალია) 12 ჰექტარი ჩაის პლანტაციაში 57,2 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა, რაც საშუალოდ ჰექტარზე 4.766 კილოგრამს შეადგენს. მეორე ბრიგადის მოწინავე მეჩაიემ ნათელა კიკალიამ 0,5 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამის ნაცვლად 4.900 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მიიღო. ნერო კიკალიამ კი ნახევარ ჰექტარზე 5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

კოლმეურნეობაში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. მეოთხე ბრიგადა ეჯიბრება მეორე ბრიგადას. უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებისათვის მეორე ბრიგადას გადაეცა კოლმეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ კოლმეურნეები ნერო და ნათელა კიკალიები, დ. ნარმანია, ვ. კიკალია, თ. კვარაცხელია, ნ. ბერაძე და სხვები, რომლებსაც გადაეცათ ფულადი ჯილდოები.

კოლმეურნეობის ეკონომიკაში გარკვეულ როლს ასრულებს სიმინდი როგორც სამარცვლე და სასილოსე კულტურა. მომდინარე წელს 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 25,5 ცენტნერი სიმინდი. მომზადებულია 300 ტონა სილოსი. ორი ჰექტარი თამბაქოს თვითეულ ჰექტარზე გათვალისწინებული 0,9 ტონის ნაცვლად მიღებულია 1,4 ტონა. თამბაქომ წელს კოლმეურნეობას 60.000 მანეთი შემოსავალი მისცა.

კოლმეურნეობა ჯეროვან ყურადღებას აქცევს მეცხოველეობის განვითარებას. ახლა მას 231 სული პირუტყვი ჰყავს და გეგმა მთლიანად შესრულებული აქვს. თუმცა ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმე ჯერ კიდევ მოუგვარებელია და ყველა 43 ძროხა ადგილობრივი ჯიშისაა, მაგრამ პროდუქტიულობის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. 600 ლიტრის ნაცვლად თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 815 ლიტრი რძე. კოლმეურნეობას 84 სული მუშაპირუტყვი ჰყავს, მათ შორის 28 კამეჩია. სუქებაზე დაყენებულია 20 ღორი. წელს ხორცის ჩაბარების გეგმა კოლმეურნეობამ მთლიანად ღორის ხორცით შეასრულა. მას ათი დედაღორი ჰყავს. თვითეულ დედაღორზე გეგმით გათვალისწინებული 8 გოჭის ნაცვლად მიღებულია 14. მეფრინველეობის ფერმაში 245 ფრთა ქათამია. მაგრამ არ სრულდება კვერცხის მიღების გეგმა. ამ მხრივ საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება, რადგან თვითეული კვერცხი კოლმეურნეობას სულ ცოტა 6 მანეთი უჯდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე.

ყურადღების ცენტრშია საკოლმეურნეო მშენებლობა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აგებულია კოლმეურნეობის კანტორა, სასკოლო და საბავშვო ბაღის შენობები, სახერხი ქარხანა, 14 სასიმინდე, საწყობი, დადგმულია საკუთარი ელექტროძრავი, წისქვილი. დაწყებულია კულტურის სახლის მშენებლობა, რომელიც 1 მილიონ 150 ათასი მანეთი დაჯდება. ამჟამად კოლმეურნეობას განუყოფელ ფონდში 1 მილიონ 200 ათასი მანეთი აქვს.

კოლმეურნეთა შეძლებულობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ლ. ჯოლოგუას ოჯახმა 4 სულის შემადგენლობით შარშან 1.491 შრომადღეზე მიიღო 75.944 მანეთი და 4.473 კილოგრამი მარცვლეული. წელს პირველ ნოემბრამდე გამომუშავებულ 895 შრომადღეზე ამ ოჯახს უკვე მიღებული აქვს 43.860 მანეთი.



კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაიმ“ 1956 წელს 1950 წელთან შედარებით სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციები გაადიდა 6 ჰექტარით, თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობა — 1945 კილოგრამით, შრომადღეზე ფულადი ანაზღაურება — 20 მანეთით.

კოლმეურნე ლ. ბიგავას ოჯახმა 4 სულის შემადგენლობით შარშან 1.200 შრომადღე გამომუშავა. ამ შრომადღეებზე მან მიიღო 63.200 მანეთი და 3.720 კილოგრამი მარცვლეული. წელს პირველ ნოემბრამდე გამომუშავებულ 911 შრომადღეზე უკვე მიღებული აქვს 44.000 მანეთი. სულ ეს ოჯახი წელს მიიღებს დაახლოებით 80.000 მანეთს და 3 ტონამდე სიმინდს. ეს იმას მოწმობს, რომ შრომადღის ღირებულება სულ უფრო იზრდება.

კოლმეურნეობას შემუშავებული აქვს პერსპექტიული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 1960 წლისათვის სრულმოსავლიანი ჩაის ფართობები გადიდდეს 150 ჰექტარამდე, მოსავლიანობა აყვანილ იქნას თვითეულ ჰექტარზე 5 ტონამდე. სიმინდის ფართობები გადიდდება 80 ჰექტარამდე და მოსავლიანობა აყვანილ იქნება ჰექტარზე 30 ცენტნერამდე. ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობას ეყოლება 300 სული პირუტყვი, მათ შორის 50 საფურაქე ძროხა და 120 სული მუშაპირუტყვი. ღორის სულადობა აყვანილ უნდა იქნას 100-მდე (მათ შორის 35 დედაღორი), გოჭიანობა — 15-მდე, ფრინველი — 500 ფრთამდე, კვერცხდება — 80-მდე.

კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაი“, რომელიც ენერგიულად იბრძვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჯეროვან ყურადღებას აქცევს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას. შარშან და წელს ათვისებულ იქნა 20 ჰექტარი ყამირი. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის დადგენილების შესაბამისად განზრახულია ხეხილის ბაღი გაშენდეს 10 ჰექტარზე.

ბედნიერი და საამური ცხოვრება დამკვიდრდა სოფელ ქვემო ბარღებში. უხვმოსავლიანი ჩაის პლანტაციებით ამაყობს კოლმეურნეობა „საბჭოთა ჩაი“, მაგრამ იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება. მას ზრდისა და განვითარების უშრეტი რეზერვები აქვს. უფრო წარმტაცი და მიმზიდველია ბარღებელ კოლმეურნეთა ხვალინდელი დღე.

ი. გოგეჩია,
აკ. ჩავლეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

წერილები რედაქციას

წინათ ჩამორჩენილი საამქრო ახლა მოწინავეა

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის საქვაბე საამქროს კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმის საბჭოთა კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის შესრულება. ამ ვალდებულების გასანაღდებლად საამქროს კოლექტივმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

საამქროში დაწესებულ იქნა ორი სრულად დაკომპლექტებული ცვლა, ნაცვლად ცალცალკე არსებული საწარმოო უბნებისა, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობდნენ ცალკე საორთქლმავლე ქვაბების შეკეთებაზე, შეჰოღებულ იქნა ყოველ ქვაბზე ერთდროული კომპლექსური მუშაობა. ამან დაიინტერესა ოსტატები, რომლებმაც უფრო მონდომებით მოჰკიდეს ხელი ბრიგადების მომარაგებას ყველა საჭირო მასალითა და სათადარიგო ნაწილებით. გაუმჯობესდა შიდასაამქრო დაგეგმვა. თუ წინათ საამქროში ყველაზე რთულ საქმეს წარმოადგენდა ქვაბის დაშლა და გასინჯვა, ახლა ეს საქმე გაადვილდა და გამარტივდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებას — ყოველდღიურად მიღწეული შედეგების შეჯამებას და გამოქვეყნებას, ყოველდღიური ბიულეტენის გამოცემას, სადაც ქვეყნდებოდა შეჯიბრებაში ჩაბმულთა მაჩვენებლები. ყოველივე ამის შემდეგ ეს საამქრო, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, ახლა ყველაზე მოწინავეა.

საქვაბე საამქროს კოლექტივმა პირნათლად გაანაღდა აღებული ვალდებულება.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ მ. აბუაშვილის, ვ. პილიპჩუკისა და გ. ბილანიშვილის ბრიგადები, რომლებიც ყოველთვიურ გეგმებს 200-250 პროცენტით ანაღდებენ. მაღალნაყოფიერი შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან ზეინკლები გ. ტახჩიდი, მ. ქაჯაია, ასლანიშვილი და სხვა პროფესიათა მოწინავე წარმომადგენლები.

საქვაბე საამქროს კოლექტივი ამჟამად 1957 წლის ანგარიშში მუშაობს.

გ. კაჭკაჭიშვილი,
ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე.

საჭიროა სამგზავრო ბაქნების მოწყობა

იმ ადგილას, სადაც ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზი ახალსოფელს უახლოვდება, მატარებელი არ ჩერდება, მგზავრთათვის არ არსებობს ბაქნი. ამის გამო ახალსოფელელებს უხდებათ მატარებელში ჩასასხდომად წასვლა ტყიბულში ან სადგურ საჭირეში, რის გამოც მოსახლეობას დიდი დრო და ენერგია ეხარჯება. აუცილებლად საჭიროა ახალსოფლის მახლობლად რკინიგზის ხაზზე სამგზავრო ბაქნის მოწყობა.

ამ საკითხის მოგვარებისათვის უნდა იზრუნოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობამ.

შ. ძათაშაძე, ვ. რიუამაძე,
ახალსოფლის მცხოვრებლები.

დ. ქუთათელაძის ნამუშევრების გამოფენა

ქართული სახვითი ხელოვნების, კერძოდ დაზგური გრაფიკის — ესტამპის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მხატვრების უფროსი თაობის წარმომადგენელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. ქუთათელაძეს. იგი სამხატვრო ასპარეზზე გამოვიდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველ წლებში და დღემდე განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებას.

დ. ქუთათელაძე ესტამპის საუკეთესო შემსრულებელია. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის სადაზგო გრაფიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მისი შემოქმედება მეტად საინტერესოა თავისი მრავალფეროვნებით და შესრულების შესანიშნავი ოსტატობით.

კვირას, 9 დეკემბერს, მრავალმა თბილისელმა მოიყარა თავი სურათების გალერიაში, სადაც საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის საქართველოს განყოფილებამ მოაწყეს დ. ქუთათელაძის ესტამპების გამოფენა.

გამოფენა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მოქანდაკემ თ. ღვინიაშვილმა. დ. ქუთათელაძის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ხელოვნებათმცოდნემ ბ. გორდეზიანმა. სიტყვები წარმოთქვეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ციციშვილმა და თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტმა ლ. ბურდულმა.

წარმოდგენილი ნამუშევრები გამოირჩევა თემების მრავალფეროვნებით. ქუთათელაძის შემოქმედების მთავარი თემაა საქართველო და თბილისი, მათი წარსული, აწმყო და მომავალი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ძველი თბილისის სხვადასხვა კუთხის, აგრეთვე ახალი თბილისის, მისი ფართო პროსპექტების, ხიდების, სანაპიროებისა და პარკების ამსახველი სურათები. მის მრავალ ავტოლითოგრაფიებსა და ოფორტებში ასახულია საქართველოს ახალი სახე თავისი ინდუსტრიული ქალაქებით, „მესეფით", „ციტრუსოვანთა პლანტაციებით და ფაბრიკა-ქარხნებით.

სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილ სადაზგო ნაწარმოებებს შორის ყურადღებას იპყრობს მისი დიდი ზომის ფერადი ოფორტები „ორჯონიკიძე და კიროვი ჩრდილოეთ კავკასიაში 1920 წელს", „ლენინი და ორჯონიკიძე რაზლივში". მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ საქართველოს პიონერიის ამსახველ სურათებს. მათ შორის ყურადღებას იპყრობს „ზღვის ნაპირი", „ეინვალი" და სხვ.

გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი ლენინგრადის პიონერიები. ეს გასაგებია არის, რადგან მხატვარმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ ქალაქში გაატარა, აქვე დაეუფლა იგი სადაზგო გრაფიკას.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე. ფოტო გ. გოგოხიასი.

ქართველი მასწავლებლები უკრაინაში

უკრაინის სკოლებში პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების განხორციელების შედეგად მოპოვებული გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოდან უკრაინაში გაეგზავნა ჩვენი რესპუბლიკის სკოლების პედაგოგთა ჯგუფი 26 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და მათემატიკის მასწავლებლები. სტუმრებს კიევის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს უკრაინის სსრ განათლების სამინისტროს, კიევის ოლქის განათლების განყოფილებისა და დედაქალაქის მოწინავე სკოლების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, რომლებმაც ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს ქართველ მასწავლებლებს.

პირველ დღეს ექსკურსანტებმა დაათვალიერეს კიევის ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლები. შემდეგ დღეებში ჩვენი მასწავლებლები გაეცნენ კიევის 47-ე, 51-ე, 54-ე, 70-ე რუსული და 101-ე უკრაინული საშუალო სკოლების მუშაობას. სტუმრები დაესწრნენ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გაკვეთილებს და შეგობრული საუბარი ჰქონდათ აღნიშნული საგნების მასწავლებლებთან. უკრაინელი კოლეგები გულახდილად უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას საგნის სწავლების მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე.

ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლები დეტალურად გაეცნენ ახალი სასწავლო საგნების — ხელგარჯილობის, სასკოლო მიწის ნაკვეთზე და სასწავლო სახელოსნოებში პრაქტიკული მუშაობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმების ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებს. დაათვალიერეს სკოლების სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, მანქანათმცოდნეობის კაბინეტები. საუბარი ჰქონდათ სკოლის ხელმძღვანელებთან.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საწარმოო სწავლების პროფილით მომუშავე კლასების მეცადინეობის ორგანიზაციამ და მათმა სპეციფიკამ. ჩვენს მასწავლებლებს სურდათ გაეგოთ, რა შედეგი გამოიღო მოსწავლეთა შრომითი აღზრდის სისტემაში საწარმოო სწავლების შემოღებამ, რომლის ინიციატორები უკრაინის სკოლები არიან. ამასთან დაკავშირებით მასწავლებლები დაესწრნენ 70-ე რუსული სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეთა მუშაობას მოტოციკლეტების ქარხანაში.

გარდა ქალაქის სკოლებისა, ექსკურსანტები იყვნენ სოფლის სკოლებშიც. კერძოდ, კიევის ოლქის ბელაია ცერკოვის რაიონის სოფელ ფურსის, პოლტავის ოლქის მირგოროდის რაიონის მირგოროდის პ. მირნის სახელობის საშუალო და დ. გურამიშვილის სახელობის შვიდწლიან სკოლებში, სადაც გაეცნენ მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას. სოფლის სკოლებშიც სერიოზული ყურადღება ექცევა სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოების, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტების მოწყობას.

მირგოროდში ჩვენმა მასწავლებლებმა ინახულეს ცნობილი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის საფლავი, რომელიც ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს.

უკრაინელი და ქართველი მასწავლებლების შეხვედრამ ცხადყო, რომ ასეთი კონტაქტი ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და საგრძნობლად აჩქარებს მოსწავლეთა პოლიტექნიკური განათლების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

გ. ქველაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრში

ჩვენი დედაქალაქის ხშირი სტუმარია ცნობილი მომღერალი ერეკლის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტი სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. გასპარიანი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გ. გასპარიანის გამოსვლამ უამრავი მაყურებელი მიიზიდა. ნიჭიერი მომღერალი ამ გამოვიდა ლაკმეს პარტიაში („ლაკმე"), როზინას პარტიაში („სევილიელი დალაქი") და სამჯერ გამართულ კონცერტში.

გ. გასპარიანმა უკვე დაათვალიერა გასტროლები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. იგი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფილარმონიის მიერ გამართულ რამდენიმე კონცერტში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დავით გამრეკელის გასტროლებმა, რომლებიც ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს.

დ. გამრეკელმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა კიაზოს პარტია ოპერა „დინსში", რიგოლეტოსი ოპერა „რიგოლეტოში", ეერმონისა ოპერა „ტრავიატაში" და ონეგინის პარტია ოპერა „ევგენი ონეგინში".

უახლოეს ხანში თბილისს ესტუმრება საბჭოთა ბალეტის ცნობილი ოსტატი დიდი თეატრის სოლისტი, რსფსრ სახალხო არტისტი მ. პლისეცკაია. იგი მონაწილეობას მიიღებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებში „გედების ტბა" და „ბაღჩისარაის შადრევანი".

ბიბლიოგრაფია

წიგნი ალკოჰოლიზმის შესახებ

ალკოჰოლიზმი ანუ ლოთობა, როგორც კაპიტალიზმის გადმონაშთი, ჯერ ჩვეულებაა. ჩვენში სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ლოთობის შემთხვევები. ალკოჰოლიზმი მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ცუდად მოქმედებს შთამომავლობაზე, ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას, ავარიებს, შრომის ნაყოფიერების დაცემას, უბედურ შემთხვევებს, ოჯახის მთლიანობის დარღვევას და სხვ.

ლოთობის შესახებ მოსახლეობაში საღი, მეცნიერული აზრის შეტანას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზანს ემსახურება წელს სახელგამის მიერ გამოცემული მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ალექსი მინდაძის ნაშრომი „ალკოჰოლიზმის შესახებ". ეს წიგნი წარმოადგენს მეცნიერული ხასიათის ნარკვევს და თავისი ცოცხალი და გასაგები შინაარსით სავსებით მისაწვდომია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

ა. მინდაძის ნაშრომში მოკლედ გაშუქებულია ალკოჰოლიზმის ყოველი მხარე. ავტორი მეცნიერულად არკვევს ლოთობის მიზეზს, ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად განვითარებულ ავადმყოფურ მოვლენებს, ლოთობის მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია დიდსინმვნელოვანი დაკვირვებანი ალკოჰოლური ინტოქსიკაციისაგან გამოწვეული ავადყოფური მოვლენების შესახებ. ავტორს ნათლად აქვს გაშუქებული რუსი მკვლევარების დამსახურება ალკოჰოლიზმის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ალკოჰოლური ინტოქსიკაციისაგან გამოწვეული პათოლოგიის და კლინიკის მთელი რიგი რთული საკითხი — [illegible] მეცნიერულ დონეზე აკადემიკოს პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების თვალთახედვით.

ნაშრომში მოყვანილია საჭირო და საინტერესო ცნობები ლოთობით გამოწვეულ ძირითად პათოლოგიურ ცვლილებათა, შინაგანი ორგანოების ნერვულ და სულიერ დაავადებათა შესახებ, ცალკეა წარმოდგენილი ალკოჰოლის გავლენა უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე; აღწერილია აგრეთვე ავტორის საკუთარი დაკვირვებანი.

ორიგინალურად და შინაარსიანად არის გადმოცემული თავი, რომელიც ეხება ყურძნისა და მისი პროდუქტების რაციონალურ გამოყენებას. ავტორი მოგვითხრობს ადამიანის ჯანმრთელობაზე ყურძნისა და მისი პროდუქტების დადებითი გავლენის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს მევენახეობის განვითარების დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის.

ცალკე თავში „ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკისათვის" გადმოცემულია ყველა ღონისძიება, რაც საჭიროა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, გაშუქებულია ოჯახის, სკოლის, კომკავშირის, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების და სხვ. დიდი როლი ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

პროფესორ ა. მინდაძის ნაშრომი „ალკოჰოლიზმის შესახებ" გამართული ენით არის დაწერილი და მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ფართო საზოგადოებისათვის.

პროფ. ი. ტატიშვილი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„წერილები მაღალმთიანი რაიონიდან"

ამ რუბრიკით მიმდინარე წლის 26 სექტემბერს, 2 და 9 ოქტომბერს „კომუნისტის" ფურცლებზე დაიბეჭდა წერილები „ჩავაყენოთ ახალქალაქის რაიონი მოწინავეთა რიგებში", „მეგობართა ერთიან ძმურ ოჯახში" და „იდეოლოგიური მუშაობის მივიწყებული უბანი". ამ წერილებში ლაპარაკი იყო რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონის — ახალქალაქის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, გაკრიტიკებული იყვნენ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, რომლებიც სუსტად ეხმარებიან რაიონს, შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ ჯერ კიდევ 1955 წლის მარტში მიღებული დადგენილების შესრულების საქმეში.

როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, ახალქალაქის რაიონში სახალხო განათლების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა ამსახველი ფაქტები, რომლებიც აღნიშნული იყო წერილში „მეგობართა ერთიან ძმურ ოჯახში", სინამდვილეს შეიცავენ. სამინისტროს მიერ აღძრულია საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე ახალქალაქის რაიონში, პირველ რიგში რაიონის ცენტრსა და სოფლებში დადგში, ბოზალში, „დავნისში და ნაოხრებში, ახალ სასკოლო შენობათა ასაგებად 1957 წლისათვის საჭირო სახსრების გამოყოფის შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს სასკოლო შენობათა ასაგებად საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა.

წერილში „იდეოლოგიური მუშაობის მივიწყებული უბანი" აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, როგორც რედაქციას აცნობებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდან, სამინისტრო თვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს. 1957 წლისათვის განზრახულია ახალქალაქის რაიონში კინოთეატრის მშენებლობა, აგრეთვე 6 ახალი სოფლის ბიბლიოთეკისა და 4 ახალი სასოფლო კლუბის გახსნა. რაიონის სოფლებში საღამო-კონცერტების მოსაწყობად სისტემატურად მივლინებულ იქნებიან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და კულტურის ცენტრალური სახლის აგიტბრიგადული ბრიგადები. კულტურის სამინისტრო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან ერთად მიავლინებს მწერალთა ბრიგადებს რაიონის სოფლებში ლიტერატურული საღამოების მოსაწყობად. ბიბლიოთეკრონის საშუალებით სომხური ლიტერატურით უზრუნველყოფილი იქნება იმ სოფლების ბიბლიოთეკები, რომლებიც განიცდიან ამ ლიტერატურის ნაკლებობას.

როგორც საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომი გვაცნობებს, წერილში „იდეოლოგიური მუშაობის მივიწყებული უბანი" მოყვანილი ფაქტები შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე და დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მწრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ჰ. მელიანი რაიკომის ბიუროს გააფრთხილა და დაავალა მას გააძლიეროს დახმარება სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთმა სამინისტრომ, რომლებიც გაკრიტიკებული იყვნენ ახალქალაქის რაიონის შესახებ დაბეჭდილ წერილებში, ყურად არ იღო „კომუნისტის" კრიტიკული შენიშვნები. კერძოდ, რედაქციისათვის დღემდე არაფერი უცნობებიათ ამ წერილებში მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მიღებულ ღონისძიებებზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, წყალთა მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს. ვფიქრობთ, აღნიშნული სამინისტროების ხელმძღვანელები ამ შეხსენების შემდეგ მაინც სათანადოდ გამოეხმაურებიან „კომუნისტის" კრიტიკულ შენიშვნებს.

„კიმბირეულ პარტიზანთა პაპა"

იმპერიაიკალსა და ამურისპირეთში ულმობელი პარტიზანული ომი გაჩაღდა.

ნ. კალანდარაშვილი ხან გაიფრთრებული ბრძოლებით, ხან მტრის გვერდის ავლით მტკიცედ მიიწევდა წინ წითელ არმიასთან შესაერთებლად.

აი რას წერს ამის შესახებ „ცენტროსიბირის" წევრი ვ. ვ. რიაბიკოვი: „ტროიცკოსავსკის ფრონტი ლიკვიდირებულ იქნა. ნ. კალ.ნდარაშვილმა რაზმთან ერთად წარმოუდგენლად მძიმე პირობებში ათასზე მეტი კილომეტრი გაიარა მონღოლეთის საზღვრის გაყოლებით და რამდენიმე თვის შემდეგ მაინც მიაღწია ჩერემხოვოს. ამ რაიონში, წითელი არმიის მოსვლამდე, მან განაგრძო ჩეხებთან და კოლჩაკელებთან ბრძოლა" („ცენტროსიბირი", ნოვოსიბირსკის საოლქო სახელგამი, 1949 წ. გვ. 112).

ამ გადასვლის შესახებ ბევრი საინტერესო რამ გვიამბო ნ. კალანდარაშვილის მეუღლემ ქრისტინე ლევანის ასულმა, რომელმაც ორი წლის ბავშვით თავისი ქმრის გვერდით პარტიზანული ომის ყოველი საფრთხე და გაჭირვება გადაიტანა.

„ჩვენი რაზმი თვალსა და ხელს შუა დნებოდა... ტყვიის გარდა, შიმშილიც და სიცივეც მოგვდევდა კვალდაკვალ. ახლა, როდესაც ვიხსენებ, თუ რის გადატანა შეეძლიო, მიკვირს, სად გვქონდა ამდენი ძალა და რწმენა! მე არ ვიცი, რა ხდებოდა ნესტორის გულში, მაგრამ გარეგნულად იგი მშვიდი და ნებისყოფით აღსავსე ჩანდა. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მებრძოლთა მიმართ. რაზმის მდგომარეობა ყოველ წუთს უარესდებოდა. პროდუქტები და საბრძოლო აღჭურვილობის მარაგი თავდებოდა, წინ კი გაუვალი ტაიგა და ციმბირის თოვლით დაფარული ასეული კილომეტრები გველოდა.

მახსოვს, ერთ დილას პარტიზანებმა შეიარაღებული სამი კაცი მოიყვანეს. მათთან საუბარში ნესტორმა გამოარკვია, რომ ისინი ტაიგის ერთ-ერთი სოფლის მონადირეები იყვნენ. მაგრამ ზოგიერთმა არ დაიჯერა ეს.

ნესტორმა ისინი გაუშვა. წასვლისას მონადირეები შეპირდნენ პარტიზანებს, ხვალ პროდუქტებსა და ფქვილს მოგიტანთო. კალანდარაშვილმა აღუთქვა, აქ დაგელოდებით, მაგრამ როგორც კი მონადირეები თვალს მიეფარნენ, მებრძოლები გასცა, ბანაკისათვის ადგილი შეენაცვლებინათ, ძველ ადგილას კი ჩასაფრებული მებრძოლები დაეტოვებინათ.

თავდასხმის მოლოდინში გავატარეთ ის ღამე და დამე. მეორე დღეს კი მართლაც დაბრუნდნენ მონადირენი, დაპირებული პროდუქტებიც მოგვიტანეს და თეთრების ადგილსამყოფელიც შეგვატყობინეს.

აი ასე გვეხმარებოდა ყველგან მოსახლეობა".

უმაგალითო სიძნელეთა და წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ კალანდარაშვილმა შეძლო რაზმის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და ჩერემხოვოსთან გასვლა.

კოლჩაკელებისა და თეთრჩეხების გამძვინვარებულმა ბანდებმა სისხლით შეღებეს ციმბირის მიწა უარალიდან წყნარ ოკეანემდე. ისინი მხეცურად სპობდნენ ბოლშევიზმში ეჭვმიტანილ ადამიანებს.

ციმბირელი გლეხკაცი, რომელმაც საკუთარ ტყავზე გამოსცადა კოლჩაკელების ბარბაროსობა, გულგრილად ოდენ შესცქეროდა იმას, თუ „რა ხდებოდა ქალაქებში". ახლა ის თვითონ დაეძებდა ბოლშევიკებს, რომ შეერთებოდა მათ. გლეხთა აჯანყებებმა ზედიზედ იფეთქა ციმბირის სხვადასხვა რაიონებში.

ნ. კალანდარაშვილმა შეძლო შემოეკრიბა ადგილობრივი გლეხობის მნიშვნელოვანი მასა, რომელსაც სწორი მხედრული ორგანიზაცია შეუქმნა. მისი რაზმის საბრძოლო რადიუსი მეტად დიდი იყო, მოიცავდა მთელ დღევანდელ ირკუტსკის ოლქს, რომელიც ტერიტორიულად გაცილებით დიდია საფრანგეთზე.

1919 წლის მაისში მოწვეულ იქნა ციმბირის პარტიზანთა ყრილობა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ნესტორ კალანდარაშვილი იყო.

ყრილობის შემდეგ უფრო დიდი ძალით გაჩაღდა პარტიზანული ომი. ამ დროისათვის კალანდარაშვილის პარტიზანულ რაზმს ბაიკოვის რაზმიც შეუერთდა. იგი შედგებოდა ცხენოსნების, ქვეითებისა და არტილერისტებისაგან, რომლებსაც „კალანდარაშვილის პარტიზანული ნაწილები" უწოდეს.

„კალანდარაშვილის პარტიზანულმა ნაწილებმა, 1919 წლის ზაფხულში, სერიოზული საფრთხე შეუქმნეს კოლჩაკისა და ინტერვენტების არმიის ზურგს აღმოსავლეთ ციმბირში და დიდი ძალები მიაჯაჭვეს ამ „შინაგან" ფრონტს" („ციმბირის საბჭოთა ენციკლოპედია").

კოლჩაკმა კალანდარაშვილის პარტიზანული ნაწილების განსადგურებლად გაგზავნა სპეციალური რაზმი გენერალ კრასილნიკოვის მეთაურობით. მაგრამ ეს რაზმიც ისევე იქნა განადგურებული, როგორც „ტყის პაპის" წინააღმდეგ დაძრული სხვა დამსჯელი რაზმები.

კრასილნიკოვის რაზმის განადგურების შემდეგ, კალანდარაშვილი „ბრძოლით იღებს ირკუტსკის მაზრის სოფელ ოსლონკის და კაჩუგაზნამენსკაისა და ქალაქ ვერხოლენსკის რაიონში იჭრება" („ნ. ა. კალანდარაშვილის სამსახურებრივი სია").

კალანდარაშვილი მტრის წინააღმდეგ მარტო ტყვიითა და ხმლით როდი მოქმედებდა. იგი დიდ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობასაც ეწეოდა მოსახლეობის ფართო ფენებში. აი რას წერს ამის შესახებ ციმბირის პარტიზანული ომის მონაწილე ამხ. პომიტოვი:

„...კალანდარაშვილის მთავარი ძალები შიბიცინთან შეჩერდნენ. როცა მებრძოლებმა ჩაი დალიეს და ცოტა შეთბნენ, მოვიდა თვით ამხანაგი კალანდარაშვილი. მას ჩვეულებად ჰქონდა ყოველთვის განცალკევებით ევლო, რაზმის წინ ან უკან. მოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გასცა მთელი სოფლისათვის მოეყარათ თავი, დაეპატიმრებინათ ადგილობრივი მილიციელები და ვოლოსტის მმართველობის მოხელენი. კალანდარაშვილმა შექმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც გადაეცა ძალაუფლება და დაპატიმრებული კოლჩაკელები. თავის სატყვაში მან ხალხს მოუწოდა მოხალისეებად შესულიყვნენ მის რაზმში თეთრგვარდიელებისა და მშრომელთა ყველა ჯიურის ექსპლოატატორების წინააღმდეგ საბრძოლველად („ბურჟოატ-მონღოლეთი საბჭოებისთვის ბრძოლაში", აღმოსავლეთ ციმბირის სამხარეო განყოფილების პარტიული გამომცემლობა, ირკუტსკი, 1933 წ.).

1919 წლის დამლევს და 1920 წლის დასაწყისში წითელი არმიის დარტყმების შედეგად კოლჩაკის თეთრმა არმიამ აღმოსავლეთისაკენ დაიხია.

მთელი ციმბირი ღელავდა და გუგუნებდა. „ირკუტსკს უკვე ეხვეოდა წითელი რგოლი, უკვე შეიქმნა ბრატსკ-გამირსკის ფრონტი ბურლოვის მეთაურობით, უკვე აღდგა ლენის მხარე, სადაც ზვერევი მოქმედებდა. მებრძოლი კავკასიელი არწივი — პაპა კალანდარაშვილი უკვე ვერხოლენსკთან და კაჩუგთან უხმობდა წითელ პარტიზანებს. ირკუტსკი კი გუგუნებდა, მღელვარებდა წითელი იატაკქვეშეთი". („ზეზეთი „ვლასტ ტრუდა", 1919 წ. დეკემბერი. № 346(222)).

ირკუტსკისკენ დაძრული კალანდარაშვილის პარტიზანული ნაწილები ვერხოლენსკის ტრაქტზე ბაიკოვის რაზმს უერთდება და სასტიკად ამარცხებს გენერალ სუკინის ჯგუფს.

„4 იანვარს ღამის 11 საათზე ზნამენსკის მისადგომებიდან სახალხო-რევოლუციური არმიის ხუთი ნაწილი მუსიკით შემოვიდა ქალაქში". („ვლასტ ტრუდა", 1919 წ. დეკემბერი).

კავკასიურ ფაფახდაბურული და ნაბადმოსხმული ნესტორ კალანდარაშვილი ცხენით შეუძღვა ირკუტსკში თავის პარტიზანულ ნაწილებს. აქ იგი ბოლშევიკური პარტიის დავალებით ეხმარება ადგილობრივ მუშებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

მაგრამ ირკუტსკის გარშემო კვლავ იკვრება თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების რკალი, ქალაქს თავს ესხმის იაპონელ ინტერვენტთა დამქაში — პირსისხლიანი ბანდიტი გენერალი სემიონოვი.

საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა თეთრგვარდიელთა ეს უკანასკნელი დასაყრდენი გაენადგურებინა პარტიზანული შენაერთების ძალებით. და „1920 წლის აპრილში კალანდარაშვილის რაზმი გაგზავნილ იქნა იმპერიაიკალში იაპონელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელ სემიონოველთა წინააღმდეგ საბრძოლველად" („დიდი საბჭოთა ენციკლოპედია", მეორე გამოცემა).

ამ ბრძოლების მონაწილე ერთ-ერთი პარტიზანის მოგონებებში, რომელიც ქრისტინე კალანდარაშვილის სამნიანო არქივში აღმოჩნდა, ნათქვამია:

„როდესაც იაპონელმა ინტერვენტებმა ზავი ჩაშალეს და ჩიტას იქით, გონგოტასთან, ფრონტი გაარღვიეს, ამ კრიზისულ მომენტში მდგომარეობა კალანდარაშვილის პოლკებმა გამოასწორეს. ისინი მთელი თავიანთი შემადგენლობით ჩაებნენ ბრძოლაში, აღადგინეს იაპონელების მიერ გარღვეული ფრონტის ხაზი".

ეი როგორ აღწერს ამ ბრძოლას მისი ერთ-ერთი მონაწილე: „ვხედავთ, ჩვენები უწესრიგოდ იხევენ. „პაპა" ბრძანებას იძლევა: „გაიშალეთ! ხმლები იშიშვლეთ!" გრიგალივით მივაწყდით მტერს. ყველაზე წინ ის მიდის—ჩვენი საყვარელი პაპა, იგი უქუდოდ არის, ქარი უშეფრავს შეჭაღარავებულ წვერს, მარცხენა ხელში მაუზერი უჭირავს, მარჯვენაში — კავკასიური ხმალი!

ჩვენებმა შენიშნეს დამხმარე ნაწილები, გაისმა ძახილი: „პაპა, პაპა ჩვენთან არის! ახლა კი ალარ დავიხევთ უკან!"

მტრის ტყვია ძირს სცემს კალანდარაშვილის ცხენს, „პაპა" უმალ ფეხზე დგება, თმაგაშლილი მსუბუქად გარბის რკინიგზის ყრილზე და მაუზერის ტყვიას ტყვიაზე გზავნის მტრისაკენ. იაპონელებმა შეამჩნიეს თუ არა იგი, დაუყოვნებლივ სროლა აუტეხეს, მას თითქოს ტყვია არ ეკარება, მაგრამ აი „მოხუცი" შეირხა, სახიდან სისხლმა იფეთქა. პარტიზანები გაოფრებული ეკვეთნენ იაპონელებს. მეორე ტყვია მარცხენა ფეხში მოხვდა კალანდარაშვილს. იგი მოცელილივით დაეცა ლიანდაგზე. გაეცეცხლნენ პარტიზანები, არაფერს აღარ შეეძლო მათი შეჩერება, სურდათ შური ეძიათ საყვარელი მეთაურის დაჭრის გამო...

კალანდარაშვილს ორი დღის ბრძოლის განმავლობაში, მიუხედავად რამდენიმე ჭრილობისა, ერთი წუთითაც არ დაუტოვებია თავისი პოსტი".

სამხედრო ინფორმაციაში, რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „რევოლუციური კომიტეტის ცნობებში", ამ ბრძოლის შესახებ შემდეგია ნათქვამი:

„დიდი დანაკარგების შემდეგ იაპონელები იძულებული გახდნენ სადგურ სოხონდოსკენ დაეხიათ. კალანდარაშვილის მიერ მიყენებულმა ენერგიულმა დარტყმებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაზავებას და იაპონელთა ჯარების აღმოსავლეთისაკენ გაყვანას".

ამ ბრძოლის შემდე

იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე

რომი, 10 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის მოხსენების გამო. სხდომის დასაწყისში სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ა. ფურცევამ, რომელსაც ყრილობის დელეგატები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. ამხ. ფურცევამ თავისი სიტყვის დასასრულს წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისალმება იტალიის კომუნისტური პარტიის ყრილობისადმი.

იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობას და მისი სახით ყველა იტალიელ კომუნისტს.

თქვენი პარტია დამსახურებულად სარგებლობს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. იგი მძიმე პირობებში ეწეოდა და ეწევა გმირულ ბრძოლას დემოკრატიული, დამოუკიდებელი იტალიისათვის, მამაცურად იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, ურყევად უჭირავს სოციალიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დროშა. დიდია იტალიელი კომუნისტების დამსახურება იტალიელ და საბჭოთა ხალხებს შორის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში.

მიჰყვება რა მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, შემოქმედებითად ახორციელებს რა მას, იტალიის კომპარტია გახდა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძლიერი რაზმი, იტალიის მუშათა კლასისა და მშრომელთა გამოცდილი და გამჭრიახი ხელმძღვანელი.

საყოველთაოდ აღიარებულია იტალიის კომპარტიის თანმიმდევრული ბრძოლა მუშათა კლასის, პროფკავშირული და სხვა მასობრივი ორგანიზაციების ერთიანობისათვის. კომპარტია გადაჭრით იბრძვის იტალიელი ხალხის უმეტესობის — მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და საშუალო ფენების გაერთიანებისათვის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და მშვიდობის პოლიტიკის განხორციელების მიზნით. მუშათა კლასის ყველა რაზმის მოქმედების ერთიანობამ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს მუშათა მოძრაობის ახალ წარმატებათა მოპოვებაში, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ძალების დაროზმვის საქმეში.

იტალიის კომპარტია მთელი თავისი მოღვაწეობითა და ბრძოლით ამტკიცებს, რომ მას არა აქვს იტალიის მშრომელი ხალხის ინტერესებზე, სოციალიზმის ინტერესებზე უფრო მაღალი ინტერესები. იტალიის მთელ დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იგი დაუცხრომლად და თავდადებით იბრძვის იტალიელ მშრომელთა უკეთესი ცხოვრებისათვის, თავისი სამშობლოს სახელოვანი მომავლისათვის, ყველა ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის.

ვისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენი ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას და მის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

გაუმარჯოს იტალიის სახელოვან კომუნისტურ პარტიას — იტალიის სოციალისტური მოსავლისათვის აქტიურ მებრძოლს!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს იტალიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

რომი, 10 დეკემბერი. (საკდესი). რომში მუშაობას განაგრძობს იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა. გუშინდელ საღამოს სხდომაზე ყრილობის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა მაცალიმ. მან განაცხადა, რომ სოციალისტები თვალყურს ადევნებენ ყრილობის მუშაობას როგორც მეგობრები და ამხანაგები, როგორც წარმომადგენლები მუშათა პარტიისა, რომელიც იყო და ყოფილ იქნება კომუნისტებთან ერთად რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოციალისტური პარტია და კომუნისტური პარტია, ხაზგასმით აღნიშნა მაცალიმ, დაკავშირებული არიან საერთო ინტერესებით და საერთო მოვალეობით მშრომელთა წინაშე.

კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრობის კანდიდატმა გაზეთ „უნიტას“ რომის გამოცემის დირექტორმა პიეტრო ინგრაომ განაცხადა, რომ ყრილობა კმაყოფილებით შეხვდა მაცალის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სოციალისტები მუდამ იქნებიან კომუნისტებთან რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგრაომ აღნიშნა, რომ რეაქციის შეტევა მიმართულია არა მარტო კომუნისტების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სოციალისტების, მემარცხენე სოციალ-დემოკრატების, მთელი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ მდგომარეობა იტალიაში.

დღევანდელ სხდომაზე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოთქვა ჟაკ დიუკლომ. მან ყრილობას გადასცა ძმური სალამი საფრანგეთის კომპარტიისაგან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგ და იტალიელ კომუნისტებს შორის ძველთაგანვე არსებობს მჭიდრო კავშირი. დიუკლომ მადლობა გადაუხადა იტალიელ კომუნისტებს ძმური სოლიდარობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „ლუმანიტეს“ შენობებზე ფაშისტური ელემენტების თავდასხმასთან დაკავშირებით.

ვენეციელმა დელეგატმა რაგანინამ ალაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობაზე. უნდა გვახსოვდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, თქვა მან, და ვაკეთარებდეთ კავშირს ცალკეულ კომპარტიებს შორის, ვაწყობდეთ დელეგაციებს შეხვედრებს და სხვ.

ტურინის უდიდესი მანქანათმშენებელი ქარხნის „რივის“ მუშამ ვანონიმ დამსწრეთ უამბო ამ საწარმოში პარტიული მუშაობის გამოცდილებაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლო დროს მშრომელთა ერთიანობა მეწარმეთა შეტევის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა. ამავე დროს ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა რეფორმისტული ტენდენციების წინააღმდეგ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები ბერლინგუერი (ხელმძღვანელობის წევრი), ჯოლიტი (ქალაქი კუნეო), ალინოვი (ნეაპოლი), ნაპოლიტანო (კაზერტა) და მიჩელი (კატანძარო).

რომი, 11 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი პალმირო ტოლიატის მოხსენების გამო. მთელი რიგი ორატორები — რინდონე (ქალაქი კატანია), სანტარელი (ქალაქი ანკონა), ტაიანი (ქალაქი როვიგო) — შეეხნენ აგრარული რეფორმის საკითხს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მთელ სახელმწიფოში გავრცელდეს კანონები მიწის რეფორმის შესახებ, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ ზოგიერთ რაიონში. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ აგრარული რეფორმისათვის ბრძოლა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საერთო ბრძოლასთან ძირეული გარდაქმნებისათვის იტალიაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იტალიელ პარტიზანთა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე ბოლდრინი შეეხო უნგრეთის ამბებს. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარების დახმარება ნაკარნახევი იყო უნგრეთში სოციალიზმის მონაპოვართა გადარჩენის აუცილებლობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვა ბოლდრინმ, ფაშისტ მეამბოხეებს შეეძლოთ აღედგინათ ძველი წესები.

პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა კომპარტიის სიცილიის საოლქო ორგანიზაციის მდივანმა ლი კაუზმ თავისი სიტყვა მიუძღვნა კომუნისტების მოღვაწეობას პარლამენტში.

კამათის მსვლელობაში ყრილობის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა პან ჯენმა. მშვიდობას, განაცხადა მან, ამჟამად კვლავ ემუქრება საფრთხე. ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტებმა გააჩაღეს სისხლიანი აგრესია ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ. მიუხედავად დამარცხებისა, კოლონიზატორებს არ აუღიათ ხელი აგრესიულ გეგმებზე აფრიკისა და აზიის ხალხების მიმართ, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, თქვა პინ ჯენმა, მათ წინააღმდეგ ამოქმედდა „ცივი ომის“ მანქანა, რათა გათიშოს სოციალისტური ბანაკის ერთიანობა. იმპერიალისტებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა უნგრეთის ამბები გამოეყენებინათ გააფთრებული ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოთა კამპანიისათვის.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ხალხისა და მთელი პროგრესული ძალების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვა, რათა მოიგერიონ რეაქციის შემოტევა და გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესისათვის. პინ ჯენმა ალაპარაკა ჩინელი და იტალიელი ხალხების მეგობრობაზე. დასასრულ მან გამოაქვეყნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის მონაწილეებისადმი.

ყრილობის დელეგატებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ჩინელი კომუნისტების წარმომადგენელს.

დღევანდელ საღამოს სხდომაზე გამოაქვეყნეს აგრეთვე მექსიკის, იაპონიის, ინდოეთის კომუნისტური პარტიების მისასალმებელი დეპეშები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ კვლავ შეწყვიტა მის დღის წესრიგში დასმული უმნიშვნელოვანესი პრობლემების განხილვა, რათა დაბრუნებოდა ეგრეთწოდებულ „უნგრეთის საკითხს“.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და 15 სხვა ქვეყნის დელეგაციებმა წარადგინეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირი „არღვევს უნგრეთის დამოუკიდებლობას“. რეზოლუციის პროექტი წინადადებას იძლევა სსრ კავშირს მიიღოს დაუყოვნებლივი ღონისძიებანი უნგრეთიდან თავისი შეიარაღებული ძალების გასაყვანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით.

1956 წლის ნობელის პრემიების გადაცემა

სტოკჰოლმი, 11 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ქიმიის, ფიზიკის, მედიცინისა და ლიტერატურის დარგის ნობელის ყოველწლიური პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა პროფესორმა ელანდერმა, რომელმაც აღნიშნა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საბჭოთა მეცნიერის ნ. ნ. სემიონოვის და ინგლისელი მეცნიერის ს. ჰინშელვუდის ნაშრომებისა, რომლებსაც მიენიჭათ ნობელის პრემიები ქიმიაში. დამსწრენი გულთბილად მიესალმნენ გამოჩენილ მეცნიერ-ქიმიკოსებს.

ნობელის პრემია ფიზიკაში მიეკუთვნათ ამერიკელ მეცნიერებს უილიამ შოკლის, ჯონ ბარდინს, ვალტერ ბრატენს. პრემიები მედიცინაში მიეკუთვნათ ანდრე კურნანს (ამერიკის შეერთებული შტატები), ვერნერ ფორსმანს (დასავლეთი გერმანია) და დიკინსონ ვ. რიჩარდსს (ამერიკის შეერთებული შტატები). ესპანელ პოეტს ხუან რამონ ხიმენესს მიეკუთვნა ნობელის პრემია ლიტერატურაში.

ჯოუ ენ-ლაის გამოსვლა მიტინგზე კალკუტაში

დელი, 10 დეკემბერი. (საკდესი). კალკუტიდან მიღებული ცნობებით, გუშინ იქ გაიმართა მიტინგი ჯოუ ენ-ლაის პატივსაცემად. მიტინგს დაესწრო დაახლოებით მილიონი კაცი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ჯოუ ენ-ლაიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის დიდი მნიშვნელობა. „რაც შეგვეხება ჩვენ, — თქვა მან, — მზად ვართ გავაუმჯობესოთ ჩვენი ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, მათ შორის შეერთებულ შტატებთანაც. ეს შეესაბამება მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებს“.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ რამდენიმე ხნის წინათ დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გარკვეული ტენდენცია. მაგრამ „კოლონიზატორებმა არა მარტო გააჩაღეს ულმობელი აგრესია აზიისა და აფრიკის რაიონში, არამედ აგრეთვე გააძლიერეს ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალისტურ ქვეყნებში. მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა უნგრეთში, სადაც ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ხალხის კანონიერი მოთხოვნები, რათა დაემხოთ სოციალისტური წყობილება. მათი მოქმედების შედეგად საერთაშორისო დაძაბულობა ამჟამად გაძლიერდა“.

ჯოუ ენ-ლაიმ მოუწოდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს კიდევ უფრო მეტი ღონე იხმაროს, რათა მხარი დაუჭირონ ეგვიპტეს საბოლოო გამარჯვების მიღწევაში. „ჩვენ მივგვიჩნია,—განაცხადა მან, — რომ ეგვიპტეში შეჭრილი მთელი ჯარები დაუყოვნებლივ გაყვანილ უნდა იქნან ეგვიპტის ტერიტორიიდან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალების ამოცანაა კონტროლი გაუწიონ შეჭრილი ჯარების გაყვანას და რომ სუეცის არხში ნაოსნობის თავისუფლების ააკიდი უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით ეგვიპტის სუვერენიტეტის სრული პატივისცემით და იმ ექვსი პრინციპის შესაბამისად, რომლებიც მიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა აღნიშნა, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსთან მისი მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ ინდოეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს ერთნაირი აზრი აქვთ ბევრ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემაზე. „რა თქმა უნდა, — დასძინა მან, — ჩვენს ორ ქვეყანას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი შეხედულებანი ყველა საკითხზე. მე სავსებით ვეთანხმები ნერუს განცხადებას, რომ „თუ ჩვენ განსხვავებული აზრი გვაქვს ზოგიერთ საკითხზე, ეს არის მეგობრული განსხვავება, რომელიც გავლენას არ ახდენს ჩვენს მეგობრობასა და ჩვენს თანამშრომლობაზე“.

ჯოუ ენ-ლაიმ თავისი სიტყვა დაამთავრა განცხადებით, რომ მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური სისტემისა, ინდოეთი და ჩინეთი ეწევიან მშვიდობიან მშენებლობას და ორივე სახელმწიფო ესწრაფვის მტკიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ფაქტებმა გვიჩვენეს, თუ რა დიდი როლი შეუძლია შეასრულოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფაში სოლიდარობას ინდოეთსა და ჩინეთს შორის.

უნგრეთის მშრომელები წინააღმდეგობას უწევენ პროვოკაციებს

ბუდაპეშტი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ბუდაპეშტის რადიო იუწყება, მიშკოლცისა და ოზდის მსხვილი საწარმოების, აგრეთვე ბორშოდის შახტების მუშათა საბჭოების წარმომადგენლებმა ოლქის მშრომელებს მიმართეს მოწოდებით, რომელშიც გადაჭრით უარყოფენ პროვოკაციულ მოწოდებებს გაფიცვებისა და დემონსტრაციებისადმი.

ბუდაპეშტში, ნათქვამია მოწოდებაში, ჯგუფი, რომელიც უკანონოდ უწოდებს თავს ცენტრალურ მუშათა საბჭოს, აქეზებს მშრომელებს გაფიცვისათვის, პროვოკაციებისა და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებისათვის. ბევრი ჩვენგანი დარწმუნდა, რომ ბუდაპეშტის მუშათა საბჭოს წევრები არ არიან მუშათა კლასის ინტერესების წარმომადგენლები. მათ საერთო არა აქვთ რა მუშებთან. მათი მიზანია დაარღვიონ კანონიერი წესრიგი და მშვიდობა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, აღნიშნულია მოწოდებაში, განვაგრძოთ ნაყოფიერი შრომა, მთელი ძალღონით ვიბრძოლოთ წესრიგისა და სიმშვიდის შენარჩუნებისათვის, ყოველგვარი პროვოკაციის წინააღმდეგ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ ეგრეთწოდებულ ცენტრალურ მუშათა საბჭოსთან.

ასევთვე მოწოდებებით მიმართეს მშრომელებს ბუდაპეშტის მთელი რიგი საწარმოების მუშათა საბჭოებმა.

ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

კაირო, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოჰი ედ-დინ ზაქარიამ პრესის წარმომადგენლებს გაუკეთა განცხადება, რომელშიც კატეგორიულად უარყო დაუსაბუთებელი მტკიცებანი და ხმები, რასაც ეგვიპტის მტრები ავრცელებენ საზღვარგარეთ, თითქოს ეგვიპტის მთავრობა სდევნის ებრაელებს, აძევებს მათ ეგვიპტიდან და კონფისკაციას უშვრება მათს საკუთრებას.

მან განაცხადა, რომ ეგვიპტის ფარგლებს გარეთ არ გაუძევებიათ არც ერთი ეგვიპტელი ებრაელი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ სიფრთხილისა და უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახით ეგვიპტის მთავრობამ ინგლის-საფრანგეთის აგრესიის შემდეგ ეგვიპტის ტერიტორიიდან გაიძევა 712 ინგლისელი და 1.740 ფრანგი ქვეშევრდომი ეგვიპტეში მყოფი 18 ათასი ინგლისელი და ფრანგი რეზიდენტიდან.

საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე ხ. გალიევი დაბრუნდა თავის ნაწილში

ვენა, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის საელჩომ ვენაში ამ წლის 28 ნოემბერს მიმართა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით დაუყოვნებლივ გადაეცათ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე ხ. გალიევი, რომელიც შეცდომით გადავიდა უნგრეთ-ავსტრიის საზღვარზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და რომელიც დაიკავეს ავსტრიის ხელისუფლებმა.

ამ დღეებში ხ. გალიევი ავსტრიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გადასცეს მისი ნაწილის მეთაურს.

დასავლეთის ქვეყნების მინისტრთა მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო დასავლეთ ევროპის კავშირის საბჭოს სესია. საბჭოს დღის სხდომა მიეძღვნა იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება თანამშრომლობასა და კონტროლს შეიარაღების დარგში, აგრეთვე საარისა და სხვა პრობლემებს. პრესის ცნობებით, დღის სხდომაზე განსახილველად დასვეს საკითხი „ევროპის პოლიტიკის საერთო ორიენტაციის შესახებ“.

ქალაქი სიღნაღი. რაიკოოპკავშირის ახალი ადმინისტრაციული სახლი.

ფოტო შ. გოქაძისა.

კალათბურთელთა ასპარეზობა

ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ასპარეზობა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ თასზე საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის სასპორტო ბაზებზე მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს კალათბურთელ ქალთა თორმეტმა და ვაჟთა ოცდახუთმა უძლიერესმა კოლექტივმა.

ქალთა გუნდებს შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენთა კოლექტივები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს, მოიგეს მატჩი ანგარიშით 64:41 და პირველი ადგილი დაიკავეს.

საინტერესოდ მიმდინარეობდა დასკვნითი ასპარეზობა ვაჟთა გუნდებს შორის. აქ ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ თბილისის „დინამოსა“ და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. სტუდენტებმა ძლიერი მეტოქეობა გაუწიეს ოსტატებს. დინამოელებმა მატჩის მოგება მხოლოდ დამატებით დროში შეძლეს ანგარიშით 75:72.

გამარჯვებულ სპორტსმენთა კოლექტივებს— კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და თბილისის „დინამოს“ ვაჟთა გუნდებს გადაეცათ ჯილდოები — ფასები.

ქალთა VI სპარტაკიადა

დაიწყო თბილისის ქალთა მეექვსე ტრადიციული სპარტაკიადა. ეს შეჯიბრება წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო და მასობრივ ასპარეზობას. პროგრამაშია: მძლეოსნობა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, ფარიკაობა და სპორტის სხვა სახეობანი.

კალათბურთელთა ასპარეზობაში ერთმანეთს პირველობას ეცილება სსსპორტო საზოგადოებათა და უმაღლესი სასწავლებლების 11 უძლიერესი კოლექტივი. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სასპორტო დარბაზში მიმდინარეობს ფრენბურთველთა შეხვედრები. აქ პირველობისათვის იბრძვის უმაღლეს სასწავლებლთა და სასპორტო საზოგადოებათა 22 გუნდი.

დაიწყო აგრეთვე მოჭადრაკე ქალთა ტურნირი, შეჯიბრება ფარიკაობაში, სროლაში.

ქალთა VI ტრადიციული სპარტაკიადა 16 დეკემბრამდე გაგრძელდება.

სოფლის თვითმოქმედი კოლექტივების დასახმარებლად

საქართველოს სსრ რაიონების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიმდინარე წელს ოცდაათზე მეტი შემოქმედებითი მივლინება მოუწყო მწერლებს, რეჟისორებს, თეატრმცოდნეებს, მსახიობებს და მომღერალთა გუნდების ლოტბარებს.

მახარაძის რაიონის მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობას გაეცნენ და დახმარება გაუწიეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ს. ჭელიძემ, თეატრმცოდნემ ლ. დოღლნაძემ და მხატვარმა შ. ჟორჟოლაძემ.

სასოფლო კლუბებისა და კულტურის სახლების თვითმოქმედი წრეების მუშაობას ცხაკაიას რაიონში დახმარება გაუწიეს მწერლებმა რ. ჭორჭიანმ და ს. მთვარაძემ. მათ მთელი რიგი რჩევა-დარიგება მისცეს ადგილობრივი მხატვრული თვითმოქმედების წრეების მონაწილეებს.

ხაშურის რაიონის კულტურის სახლის თვითმოქმედმა ძალებმა დადგეს ლ. ჭუბაბრიას პიესა „კარგი ამხანაგი“. ამ სპექტაკლის განხილვაში მონაწილეობა მიიღო თეატრალური საზოგადოების მიერ მოვლინებულმა რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა.

ამ დღეებში გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ნ. გოძიაშვილი, საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბაქრაძე და მომღერალთა გუნდის ლოტბარი ჭკუასელი, რომლებმაც მოაწყეს საუბრები, კონსულტაციები მხატვრული კითხვის ოსტატობაზე, როლის გაგებაზე, აგრეთვე შეტანეს კორექტივები სიმღერების შესრულებაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაწეული ასეთი კონსულტაციები ხელს უწყობს სოფლის თვითმოქმედების კოლექტივების მხატვრულ დოსტატებას.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს რადიოგადაცემათა პროგრამა 13 დეკემბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან, 07.40 — „პიონერთა დაფიონი“, 12.15 — სიმღერები პიატნიცკის სახელობის გუნდის შესრულებით, 12.45 — ქართული სიმღერები კირვალიძეების შესრულებით, 17.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი, 17.45 — საუბარი ახალგაზრდობისათვის: „კაპიტალიზმის გადმონაშთების შესახებ“, 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ჩარლზ ბოსმანის ნოველა „კუნელის ჩრდილში“, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — რადიოსადგურებთან გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — შალიაპინის კონცერტი, 20.30 — კონცერტი დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებებიდან.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — რადიომონტაჟი კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისა „მოკვეთილი“.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — კონცერტი სმეტანას ნაწარმოებებიდან, 22.00 — გადაცემა ციკლიდან „ახალი წიგნები“, 22.30 — დაღისტნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი.

რადიოსადგურით 66.08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანეს“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00— გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს კურორტოლოგიის კათედრაზე კლინიკურ ორდინატურაში (1 ადგილი). კონკურსის ვადაა ათი დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საჭირო დოკუმენტები განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12).

საქართველოს სახელმწიფო კაკელა

აცხადებს კონკურსს მომღერლებისათვის ფაკანტურ ადგილებზე:

სოპრანოებისათვის

ალტებისათვის

ტენორებისათვის

ბანებისათვის

განცხადებები მიიღება დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 123, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

ზამთრის პერიოდში წყლის შეუფერხებლად მიღებისათვის აბონენტები ვალდებული არიან:

წესრიგში მოიყვანონ წყალსაზომების ჭები სახურავებით, შეფუთონონ მილგაყვანილობის შიშველი ადგილები და წყალსაზომების არმატურა, რათა დაიცვან მოსალოდნელი ყინვებისაგან.

ზემოაღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში იქ, სადაც ზამთრის პერიოდში ყინვისაგან დაზიანდება წყალსადენის გაყვანილობა აბონენტის ტერიტორიაზე, აბონენტი დაჯარიმდება და დაეკისრება აღდგენის ხარჯები.

თბილწყალსადენის სამმართველო.

ᲓᲦᲔᲡ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ფილოსოფიის დოქტორი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი, **გრიბოედოვის სახელობის** — მარადიული სიყვარული, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოჯახი (აბონემენტი № 31), **ფილარმონია** — მ. მირონოვას და ა. მენაკერის კონცერტი (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ბაში-აჩუკი, **კოლხიდა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — გრძელი გზა, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ასანთიანი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — პური, სიყვარული და ფანტაზია, **კომუნარების ბაღი** — ბორანი, **კომკავშირელი** — გადვიძება, **კოლმეურნე** — სველი ზურგები.

ტყიბულჰესის მშენებლობის კოლექტივი იუწყება უბნის უფროსის ინჟინერ

დავით გიორგის-ძე ორჯონიკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 13-XII, 4 ს. უნივერსიტეტის ქ. № 50.

მეუღლე შალვა, შვილი ნათელა, ძმები ბესარიონ, პანტელეიმონ, სიძე შ. ყანჩაველი ოჯახებით იუწყებიან

თამარ საბას ასულ ახალაია-ცაგურიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-XII, 8 ს. გამოსვენება 13-XII, 3 ს. ითარბეგოვის ქ. № 35.

შვილები ნინო, თამარ, ზინა, კუკური, რძალი თამარ, სიძეები ბ. ანთაძე, ვ. თოხაძე იუწყებიან

აგრაფინა მიხეილის ასულ შაფაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XII, 4 ს. ქ. მახარაძეში. გამოსვენება ბინიდან, ხრუშჩოვის ქ. № 15.

დედა ათინო, ძმა მიხეილ, დები ზინა, ნინო, ფლორენცია ოჯახებით იუწყებიან

ოლღა თომას ასულ ჩხიკვიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14-XII, 8 ს. გამოსვენება 15-XII, 3 ს. უნივერსიტეტის ქ. № 48.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზა